# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 14 იანვარი 2008 №005 (3229) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი დესანტი სოფიაში

## საკალენდრო ომი: სამნი ბევრის წინააღმდეგ

## ქართული ვარიანტი

დავიწყოთ სტუმრად იტალიით, ვუმასპინძლოთ ჩერნოგორიას, წავიდეთ კვიპროსში, ჩამოვიდეს ბულგარეთი ან ირლანდია

## ალტერნატივა: ჯგუფელების ან ფიფას განგრიგი



ბაჩო კვირიკაშვილის ფოტო

## რონალდო დაბრუნდა და პატომ დაიწყო

მილანმა სან სიროზე, როგორც იქნა, მოიგო



AFP ფოტოები

## როგორი სუსტი ყოფილა პრიმერა...

შოთა არველაძემ ლევანტეს დარჩენა და ლევანტეში დარჩენა თითქმის გამორიცხა



ბაჩო კვირიკაშვილის ფოტო



# საქართველო ყველაზე ცოტაა

## დღეს სოფიაში მსოფლიო 2010-ის კალენდარზე მოლაპარაკება იწყება

**დღეს** სოფიაში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის მეტოქეთა დელეგაციები შეიკრიბებიან და ერთმანეთთან სათამაშო ორწლიან კალენდარზე მოლაპარაკებას დაიწყებენ.

შეგახსენებთ: საქართველოს ნაკრების მეტოქეები ევროპის ზონის მე-8 შესარჩევ ჯგუფში იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი და ჩერნოგორია არიან.

ჯგუფში გამარჯვებული პირდაპირ სამხრეთ აფრიკაში მოხვდება, ხოლო მეორეადგილოსანს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის სხვა ჯგუფის მეორესთან მოუწევს საქმის დაჭერა.

შესარჩევი ჯგუფის მატჩები სექტემბერში დაიწყება და გაისად ნოემბერში დამთავრდება. ფიფას მიერ დადგენილი სათამაშო დღეებია: 2008 წლის 6-10 სექტემბერი და 11-15 ოქტომბერი, ასევე 2009 წლის 28 მარტი-1 აპრილი, 6-10 ივნისი, 5-9 სექტემბერი, 10-14 ოქტომბერი და 14-18 ნოემბერი.

სოფიაში შეკრებილები დღეს და ხვალ სწორედ ამ თარიღებისა და მეტოქეების სათავისოდ გადანაწილებას ეცდებიან და თუ ვერ მორიგდნენ, დავუშვათ, რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელთა ჯიუტობის გამო, ამ საქმეს უკვე ფიფა მიხედავს. ფიფამ კი კომპრომისები არ იცის, იტყვის და ისე იქნება...

სოფიაში ყველა დელეგაციას კალენდრის თავისი ვარიანტი, უფრო სწორად, ვარიანტები აქვს ჩატანილი. საქართველოც წინასწარ არის მომზადებული და ამასწინათ გამცნეთ კიდეც ჩვენი ნაკრებისთვის ყველაზე ხელსაყრელი კალენდრის ვარიანტი. კლაუს ტოპმიოლერს შესარჩევი ეტაპის იტალიაში დაწყება სურს, შემდეგ ჩერნოგორიის მასპინძლობა, კვიპროსში სტუმრობა და მეოთხე ტურში ბულგარეთის ან ირლანდიის მიღება. დანარჩენი მატჩების ტოპმიოლერისეული გრაფიკი არ ვიცით, თუმცა, ცხადია, ის მისთვის იდეალური უნდა იყოს.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ჩვენების ვარიანტს იტალია და კვიპროსი იზიარებენ, ირლანდიას კი ბევრი პრეტენზია არ აქვს.

მოკლედ, არის შანსი, რომ სოფიაში მყოფმა ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ და მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა საჩვენო კალენდარი წამოიღონ და იტალია-კვიპროსი-ირლანდიის გარდა, ბულგარეთი და ჩერნიგორიაც დაითანხმონ.

სხვათა შორის, სოფიაში შეკრებილთაგან ყველაზე მცირერიცხოვანი სწორედ ქართული წარმომადგენლობა იქნება — ისინი სულ სამნი არიან. მაგალითად, მასპინძლებს მოლაპარაკებისას ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ბორისლავ მიხაილოვის თავკაცობით, ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელი პლამენ მარკოვი, ალმასკომის წევრი ივან ლეკოვი, საფეხბურთო კავშირის კოორდინატორი ივან ვუცოვი და საერთაშორისო განყოფილების უფროსი ანდრეი მედინცევი ეყოლებათ. იტალია სოფიაში ექვსკაციანი დელეგაციით ჩავიდა — ფედერაციის პრეზიდენტ ჯან-კარლო აბატეს საკალენდრო საქმეში ხუთი კომპეტენტური პირი ახლავს, მათ შორის, ცხადია, მწვრთნელი რობერტო დონადონი და ფედერაციის პრეს-ატაშე ანტონელო ვალენტინი.

ექვსი ქვეყნის დელეგაციიდან უპრეზიდენტოდ სოფიაში მხოლოდ კვიპროსელები იქნებიან, სამაგიეროდ, მათ ბულგარეთში ერთბაშად სამი ვიცე-პრეზიდენტი, მწვრთნელი ანგელოს ანასტასიადი და საერთაშორისო განყოფილების უფროსი მიავლინეს. ფედერაციის პრეზიდენტით, აღმასრულებელი დირექტორით, პრეს-ატაშითა და ნაკრების თავკაცით — დონ გივენით ჩავიდნენ სოფიაში ირლანდიელები, ხოლო ჩერნიგორიის ინტერესებს პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო განყოფილების თანამშრომელი და მწვრთნელი ზორან ფილიპოვიჩი დაიცავენ.

სავარაუდოდ, კალენდარი დღესვე არ გამზადდება, ეს ხვალ უფრო მოსალოდნელია. გამორიცხული კი არც ის არის, მეტოქეებმა მოლაპარაკება ერთი-ორ დღესაც გააგრძელონ.

ისე, თუ გახსოვთ, წინა შესარჩევი ეტაპის კალენდარზე მოლაპარაკება ჩვენს ჯგუფში უკრაინამ და საფრანგეთმა ჩაშალეს და მერე საქმე უეფამ მოაგვარა.

**კობა ინასარიძე**

შაბათის „სარბიელში“ ჩრდილოეთ ირლანდიისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩის ჩატარების ადგილად შეცდომით გვეწერა დუბლინი.

დავაზუსტოთ: მატჩი ბელფასტში, „უინძორ პარკზე“ გაიმართება და გრინვიჩის დროით, 19.45 საათზე დაიწყება.

# ოლიმპი ტავრიამ არია

## ციმაკურიძემ სიმფეროპოლშია




**საქართველოს** ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ უკრაინულ შეკრებაზე მორიგი ტესტ-მატჩი გამართა. ჩვენებმა უკრაინის ქვედალიგელ „დესნასთან“ 1:0 მოგებას სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ 0:3 მარცხი შეუნაცვლეს.

ამ სამი გოლიდან ბოლო „ოლიმპს“ გიორგი ციმაკურიძემ გაუტანა — ბექა შეყრილაძის მოგერიებული ბურთი მახვილი კუთხიდან გადაგზავნა კარში.

ციმაკურიძემ პირველი მატჩი ჩაატარა „ტავრიაში“, პირველი წრე კი ლუგანსკის „ზარიაში“ გაატარა.

ჩვენი ინფორმაციით, 24 წლის ქართველი მცველის სიმფეროპოლში გადასვლა გადაწყვეტილია.

„ოლიმპი“ კი მალე „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშებს, ბევრი ახალი სახე გამოჩნდება — მათ შორის, უკრაინელი ლეგიონერებიც.

**ილია ნანობაშვილი**

# მალე: ზესტაფონი+ჩასემი

**5-11 იანვარს** „ზესტაფონმა“ ბაკურიანში გაიარა მეორე შეკრება. ძველით ახალი წლის შემდეგ კი გუნდი თბილისში შეიკრიბება, სადაც 23 იანვრამდე გააგრძელებს მზადებას.

ამის შემდეგ იმერლები თურქულ ანთალიაში გაემგზავრებიან.

გუნდთან ერთადაა კამერუნელი თავდამსხმელი ერიკ რომეო ჩასემი, რომელიც აქამდე ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა.

„ზესტაფონის“ პრესსამსახურის ცნობით, კლუბებს შორის მოლაპარაკება ჯერაც მიმდინარეობს და ალბათ მალე კონტრაქტიც გაფორმდება.

**კახა შალამბერიძე**

# ფიფიას შანსი საკონტროლოა

**უკრაინის** ჩემპიონატის ლიდერი „დნიპრო“ დღეს უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრა, სამი პოტენციური ახალწვეული კი გუნდის მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა დნეპროპეტროვსკში, დუბლებთან დატოვა. მათ შორის, გოგი ფიფიაც.

„დნიპროს“ გენერალურმა მენეჯერმა ვლადიმირ სტეცენკომ თქვა, ფიფია პერსპექტიული ახალგაზრდაა, ის დუბლებთან ერთად საკონტროლო მატჩებს ჩაატარებს და თუ თავს გამოიჩენს, პირველ გუნდში გზა ხსნილი ექნებაო.

„დნიპროში“ უნდა წასულიყო თბილისის „დინამოს“ სანდრო კობახიძეც, თუმც უკრაინული კლუბის ვებგვერდზე მისი გვარი არ გამოჩენილა.

**ილია ნანობაშვილი**

# მერანის უცხოეთი არ გადაწყვეტილა

**საქართველოს** ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე გუნდებიდან უკვე ყველამ დაიწყო მეორე წრისთვის მზადება.

რამდენიმე დღეა, ვარჯიში განაახლა თბილისის „მერანმაც“. დავით ეჯიბიშვილმა გუნდი თბილისში 10 იანვარს შეკრიბა.

როგორც „მერანის“ მწვრთნელმა გვითხრა, ამ ეტაპზე ფიზიკური კონდიციების აღდგენაზე მუშაობენ. 20 იანვრიდან შეკრებაზე გადავლენ, მანამდე კი ერთ ტესტ-მატჩსაც ჩაატარებენ, თუმცა ჯერ პარტნიორი უცნობია.

ეგებ მეორე შეკრება, უცხოეთში გავიაროთო, გვითხრა ეჯიბიშვილმა.

გუნდი სამმა ფეხბურთელმა დატოვა — ბექა ნოზაძე და ზურაბ ავალიანი „სიონში“ წავიდნენ, დავით სევასტოპულო კი ჭიათურის „მაღაროელში“ გაანათხოვრეს.

ახალი ჯერ არავინ მოსულა და ეჯიბიშვილის თქმით, ძირეულ ცვლილებებს არც გეგმავენ.

**ნუკრი ლოლაძე**

# სიონმა გაგრა შემოატრიალა

**ქართული** გუნდები მეორე წრისთვის ემზადებიან და აგერ, ბოლნისის „სიონმა“ პირველლიგელ „გაგრასთან“ სოფელ რატევანში ამხანაგურად ითამაშა.

ბოლნისელებმა 2:1 იმარჯვეს.

პირველი ნახევარი უგოლოდ მიილია, მერე კი, 54-ე წუთზე გაგრელები ლალიანმა დააწინაურა.

„სიონმა“ ანგარიში 75-ე წუთზე გაათანაბრა — ბუბუტეიშვილმა შეაგდო. გამარჯვების გოლი კი 87-ე წუთზე ოქროპირიძემ გაიტანა.

ბოლნისელთა მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ ბლომად ფეხბურთელები გამოსცადა. სასტარტო შემადგენლობა კი ასეთი იყო: *ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ოქროპირიძე, ფრიდონინი, რაქვიაშვილი, ზ. ავალიანი, ლ. ბაჯელიძე, ბ. ნოზაძე, ქარდავა, შ. ჯიქია.*

როგორც ხედავთ, ორივე ახალწვეულმა — ბექა ნოზაძემ და შოთა ჯიქიამ — ითამაშა. გამოჩნდა ზურაბ ავალიანიც, რომელმაც პირველი წრე „მერანში“ გაატარა.

მომდევნო ტესტ-მატჩს „სიონი“ 17 იანვარს „ამერთან“ გამართავს.

**ნუკრი ლოლაძე**

გიო ახვლედიანის

სვეტი

# მოულოდნელი და ახალი

ამ ზამთარს, ტრადიციულად, საფეხბურთოდ გამოგვატარა ინგლისურმა პრემიერლიგამ. იმათ და ჩვენს შობებს შუა ეს არის ძველი და უკვე შეჩვეული სეირი ტელეგულშემატკივრისთვის.

ჩვენთან კი ისეთმა ყინვებმა დაიჭირა (არა მარტო ბუნებრივმა, არამედ პოლიტიკურმაც) რომ ფეხბურთზე ფიქრი, ცოტა არ იყოს, გაჭირდა.

ამასობაში კი, კლაუს ტოპმიოლერს კვლავ ორი წლით ჩაბარდა ნაკრები, რაც მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. დიახ, ეს არ იყო მოულოდნელი და, შეიძლება ითქვას, არც ახალი ამბავი.

მოულოდნელსა და ახალს კვლავ წინ ველოდებით. შეძლებისდაგვარად, რასაკვირველია, თორემ მოსალოდნელსა და ძველს კიდეც მივეჩვიეთ და კიდეც ვიცით, რაც არის.

მთელს ამ ამბებში, ქვეყანაში რომ ტრიალებს, ერთი ცნობილი და აღიარებული ამბავიცაა: ფეხბურთი ძალიან ჰგავს თავის ქვეყანას. მეტიც, ის მის სურათად შეიძლება გამოგვადგეს და ზუსტად წინმსწრებ სურათად.

მგონი, ფეხბურთი ერთადერთი სპორტის სახეობაა დედამიწის ზურგზე, სრულიად გადასარევად რომ გამოხატავს ცხოვრებას და ამიტომ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ მან წინდაწინ დაგვანახოს ხოლმე ის, რაც ცხოვრებაში მოხდება. ის ამითაც არის საინტერესო.

ამიტომ, საქართველოს ფეხბურთი და მისი ნაკრები საინტერესოა. გულშემატკივრობა თავისთავად, მაგრამ პროცესი არანაკლებ. გასვლა-არგასვლაზე კი არ ვამბობ, არამედ განვითარების მზერაზე.

ამ მხრივ კი სუფთად პრაქტიკული შეკითხვები გაჩნდება.

რა არის საქართველოს ნაკრების რესურსი?

რის ხარჯზე უნდა მოუმატოს საქართველომ?

რაგბიში წააგებ და გმირი ხარ, ფეხბურთში წააგებ და არავინ ხარ. პრინციპია სხვა. მგონი, ძალიან ბევრი ადგილის ჩამოთვლა შეიძლება, სადაც ნაკრებს მომატება სჭირდება და სადაც ხვრელია ამოსავსები. მაგრამ კითხვაც ეს არის: რის ხარჯზე?

რომანტიკული პასუხი რომ ყოფნიდეს ამ საქმეს, ვიტყოდით, ახალგაზრდების ხარჯზეო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მიმართულებაა. სად ვიპოვოთ ძალები? რაღაცით ეს ამბავი კომპიუტერულ თამაშს ჰგავს, მაგრამ იქ მონიტორია, აქ კი ცხოვრება და ნამდვილი საქმე.

ამიტომაც ვამბობ, რომ ველოდებით მოულოდნელსა და ახალს. ამ ორის გარეშე, ისედაც ყველაფერი ცნობილია.

# არ ვიცი, რას ვიზამ სეზონის მერე
## შოთა არველაძე უთამაშებლობით დაიღალა



გუშინ ესპანეთის პრიმერადივიზიონის პირველი წრე ჩათავდა, შოთა არველაძე კი კვლავაც უქმობს. ქართველ ბომბდამშენს ამ სეზონში წუთითაც არ უთამაშია, მუხლის ტკივილი არა და არ შორდება. ჩვენიანმა „ლევანტეში“ ვარჯიში ერთი თვის წინ დაიწყო, მაგრამ მთლად ჯანზე ვერაა. შოთას გუშინ ვალენსიაში, „ლევანტე“ — „რეალის“ მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დავუკავშირდით...

— კი ვვარჯიშობ, მაგრამ ბოლომდე მწყობრში ვერ ვარ. მუხლი მტკივა...

**— ექიმები რას გეუბნებიან, როდის შეძლებ თამაშს?**

— არ ვიცი, დრო უნდა... ორი ოპერაცია გავიკეთე. წესით, მალე უნდა დავიწყო თამაში, მაგრამ არ ვჩქარობ.

**— ახალ წელს ვალენსიაში შეხვდი. როგორ აღნიშნე?**

— სახლში შევხვდი, ჩემები იყვნენ ჩამოსულები და კარგად მოვულხინეთ. ქუჩაში არ გავსულვარ.

**— „ლევანტეს“ პრეზიდენტი პე-**

დრო ვილიაროელი კი გაბრაზებულია, შოთა არველაძის ტრანსფერი ფუჭი გამოდგა და დიდი შეცდომა დავუშვითო...

— რაღაცით ხომ უნდა გაიმართლოს თავი...

**— პირადად შენთვის არაფერი უთქვამს?**

— არა, არც მინახავს... კლუბის ხელმძღვანელობა წლეულს სულ პრობლემებშია, თვითონ ვერ აუწყვიათ საქმე და სხვებზე გადაბრალებას ცდილობენ.

**— არც ხელფას-პრემიები დაურიგებიათ?**

— ნაწილობრივ გამოსწორდა სიტუაცია, მაგრამ ჯერ კიდევ ვერაა მთლად დალაგებულად.

**— როგორ ფიქრობ, „ლევანტე“ უკვე გავარდნილია პრიმერადივიზიონიდან?**

— კი. აქ რომ მოვდიოდი, ნაღდად არ მეგონა, ესპანეთის პრიმერადივიზიონში ამდენი სუსტი გუნდი თუ იქნებოდა. „ლევანტე“ კი მათ შორის ყველაზე დაჩაგრულია. „დეპორტივოსთან“ თამაშს რომ ვუყურე, ცუდად გავხდი. თუმცა არა მარტო „დეპორტივოსთან“...

**— არადა, ერთი კვირის წინ „ვალენსიასთან“ სტუმრად ქულა აიღო „ლევანტემ“...**

— თვითონ „ვალენსია“ ვერ არის ფორმაში. ეგეც არ იყოს, ბურთი „ლევანტეს“ საჯარიმოს არ მოსცილებია.

**— პრიმერაში ბევრი სუსტი გუნდიაო, ამბობ, თუმც „რეალიც“ და „ბარსელონაც“ არცთუ იშვიათად კარგავენ ქულებს...**

— ეს ყველა ჩემპიონატში ხდება. მე თამაშის ხარისხზე ვამბობ, რომელიც ესპანეთში უკეთესი მეგონა. აი, მაგალითად, „ატლეტიკო“ ახლა დაემსგავსა გუნდს, თორემ სამი თვის წინ მათი თამაში ვნახე, არ შეეხედებოდა. „რეალი“ და „ბარსელონა“ ძალიან მაღლა დგანან. თუ ფორმაში არიან, „ვალენსიას“ და „სევილიას“ თამაშების ნახვაც სიამოვნებაა. აი, დანარჩენები კი... დაარტყი-გაიქეცის ვარიანტია. ახლა უკვე ნაღდად აღარ მიკვირს, ესპანეთის ნაკრები სერიოზულ შედეგს რომ ვერ აღწევს.

**— ამ სეზონის მერე რას აპირებ? შენ ხომ ორწლიანი კონტრაქტი გაქვს...**

— არა, ორწლიანი მაშინ მექნებოდა, თუ ამ სეზონში 24 მატჩს ჩავატარებდი. ამდენი კი ვერანაირად ველარ მომიგროვდება. არ ვიცი, რას ვიზამ, ამ ორმა ოპერაციამ საშინლად დამღალა...

**ილია ნანობაშვილი**



გურამ ცუცქირიძის ფოტო

# ახალი ცოცხი და ბარაბაძე
## კარლ ცაისმა ცხრა გაუშვა

**იენის** „კარლ ცაისში“ ახალი მთავარი მწვრთნელის, ჰენინგ ბიურგერის მისვლამ დიდი ცვლილებები გამოიწვია — ახალმა ცოცხმა ცხრა ფეხბურთელი „მოიმდურა“.

სებასტიან ჰელბიგი, კრისტიან პერსონი, კრისტიან ფრიოლიხი, ბაბაკარ ნდიაიე, მარკ ციმერმანი, მარკუს ჰოფმანი, შტეფან კუნე, პარდის ფარდიად-აზადი და რევაზ ბარაბაძე — „კიკერის“ ცნობით, ამ ფეხბურთელებს ახალი გუნდის ძიება მოუწევთ.

ბარაბაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელია და შარშან ზაფხულს შეუერთდა „კარლ ცაისს“, თუმცა ჯერ არასრულწლოვანობის, შემდეგ კი კონტრაქტის გაფორმების გაჯანჯლების გამო თამაში არ უწევდა.

„ამ გუნდში რამდენიმე ფეხბურთელს საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა“ — მოკლედ მოჭრა ბიურგერმა და თავისი გადაწყვეტილება ასეთნაირად ახსნა.

შეგახსენებთ, რომ ბარაბაძის გარდა „კარლ ცაისში“, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის, კიდევ სამი ქართველი ირიცხება: გიორგი ონიანი, ილია კანდელაკი და გიორგი სეთურიძე. კიდევ ერთი ჩვენებურის, მეკარე გიორგი ლომაიას საკითხი კი ჯერაც ღიაა — მის დასაბრუნებლად იენელები მოლაპარაკებებს აწარმოებენ და ვნახოთ, რა გამოუვათ...

**ბაჩა შალამბერიძე**



# კობის თურქული ოქრო

**ლევან კობიაშვილმა** და გელზენკირხენის „შალკემ“ მიმდინარე წელი გამარჯვებით დაიწყეს — თურქულ ანთალიაში დასრულებულ „ვიქტორია კაპ“-ის ფინალში ბრემენის „ვერდერს“ 2:1 მოუგო.

კობიაშვილმა სრულად ითამაშა.

„ხუმარები“ ნალდოს ავტოგოლით დაწინაურდნენ, მეორე გოლი რაფინიამ პენალტით გაიტანა, მატჩის მიწურულს კი ანდრეასენმა ერთი გაქვითა.

შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირის ნახევარფინალში „შალკემ“ 3:1 მოუგო ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გოგუა გოლით დაბრუნდა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ გოგიტა გოგუას საფეხბურთო კარიერის საუკეთესო პერიოდი ნალჩიკის „სპარტაკში“ გაუტარებია.

ჩვენებური ახლაც ყაბარდოულ კლუბთან ერთადაა შეკრებაზე და, როგორც ჩანს, მისი აღმასვლა ხელახლა იწყება.

პირველი მატჩი, პირველი გოლი — ასეთი გამოდგა გოგუას ნალჩიკში დაბრუნება.

ყაბარდოელები თურქულ შეკრებაზე არიან და სპარინგ-მატჩში უკრაინული „კრივბასი“ 3:0 დაამარცხეს. გოგუამ კი ამ გამარჯვებას სათავე დაუდო.

ნალჩიკელთა შემადგენლობაში სრულად ითამაშა მეორე ქართველმა, ალექსანდრე ამისულაშვილმაც.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სირაძემ დაიწყო



**თითქმის** ორთვიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა დავით სირაძე.

გეხსომებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და გერმანული „პადერბორნის“ თავდამსხმელი ლიტვის ნაკრებთან მატჩში მძიმედ დაშავდა.

სირაძემ ვარჯიში ახალი წლიდან განაახლა.

ამჟამად მისი „პადერბორნი“ ესპანურ შეკრებაზეა და საკონტროლო მატჩებს ატარებს. პირველად გერმანულ „არმინიას“ შეხვდა და 1:2 დამარცხდა. სირაძე მოედანზე 46-ე წუთზე შევიდა.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველი ფეხბურთელის სრულად დატვირთვას გუნდის მწვრთნელები ჯერაც ერიდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჭელიძე მექსიკაში?
## დანარჩენს მერე იტყვიან

**26 იანვარს** მექსიკურ გვადალახარაში ტურნირი იწყება, რომელშიც, შესაძლოა, გიორგი ჭელიძემაც ითამაშოს.

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ახალგაზრდული გუნდი B ჯგუფში მოხვდა არგენტინულ „ესტუდიანტესთან“, ამერიკულ „სელთან“, მექსიკურ „ტეკოსთან“, „სანტოსთან“ და „ამერიკასთან“.

ჭელიძე ნაახალწლევს დაბრუნდა „ზესტაფონიდან“ „ლოკომოტივში“, თუმცა რაშიდ რახიმოვმა თურქეთში მთავარ გუნდთან ერთად არ წაიყვანა და ალბათ სწორედ ახალგაზრდული იახლებს მექსიკაში.

წესით და რიგით, „პაჭელოს“ მომავალი მექსიკიდან დაბრუნების შემდეგ გაირკვევა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ცნობილი, ნაკლებ ცნობილი, უცნობი

**თემურ ფარცვანია** — ეს 16 წლის ბიჭი კიევის „დინამო 2“-ში თამაშობს. მასზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ცენტრალური მცველია, კიეველთა აღზრდილია და საქართველოს მოქალაქეა.

„დინამო 2“ მალე „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშებს სანკტ პეტერბურგში. გუშინწინ კი ამ გუნდმა საკონტროლო მატჩი გამართა უკრაინის ქვედალიგელ ბელაია ცერკოვის „არსენალთან“ და 2:0 მოიგო. ფარცვანიას გარდა, ამ მატჩში დავით იმედაშვილმა და კიდევ ერთმა უცნობმა ქართველმა (საყრდენი ნახევარმცველი) ითამაშა.

„დინამო 2“-ის თავკაცმა იური კალიტვინცევმა უცნობ ქართველზე თქვა, მისი ვინაობა ჯერ არაფერს მოგცემთ, გასინჯვაზეა და კიდევ უნდა დავაკვირდეო.

**ილია ნანობაშვილი**

# ბაქოური სია

**15-18 იანვარს** ბაქო ფუტსალში საერთაშორისო ტურნირს რომ უმასპინძლებს, უკვე გაუწყეთ. ამ ტურნირში აზერბაიჯანის ნაკრების გარდა, საქართველო, ირანი და ყაზახეთი მონაწილეობენ.

გუშინ გაირკვა იმ ფუტსალელთა ვინაობა, რომელთაც ჩვენი ნაკრების თავკაცი პეტრე თაბუკაშვილი ბაქოში წაიყვანს: *ლევან გაბუნია, ლევან ზაქაიძე, დავით დარჩია, ლევან ზუმბაძე, გიორგი სოზაშვილი, შოთა კუბლაშვილი, გიორგი მშვიდობაძე, ავთანდილ ასათიანი, ლაშა ცნობილაძე, ბექა ნეფარიძე, არჩილ ბოკერია, აკაკი კაკაშვილი, ნიკოლოზ ოსეფაშვილი.*

**ბაჩა შალამბერიძე**

# დემეტრაძის აწმყო და მომავალი

## საქართველოს ნაკრებს წარმატებები წინ აქვს



საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე კიევის „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ზავაროვმა იმ მიზნით გადაიბირა, რომ უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე გუნდს დაეხმარებოდა, თუმცა დემეს საქმეები ვერ აეწყო და უმეტეს დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებს.
ჩაგდებული სეზონის მიუხედავად ხალისიანი და ენაწყლიანი ქართველი უკრაინაში მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს.
კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე დემეტრაძესთან მორიგი ინტერვიუ გამოქვეყნდა — ჩვენებური გულშემატკივართა კითხვებს პასუხობს...

— ფეხბურთის თამაში რა ასაკში დაიწყეთ?

— ექვსი წლისამ.

— ვინ იყო თქვენი კერპი?

— დიეგო მარადონა.

— რომელ ევროპულ გრანდში თამაშზე ოცნებობდით?

— ყოველთვის მინდოდა მადრიდის „რეალში“ თამაში.

— „არსენალში“ დარჩენას რამდენი ხანი აპირებთ? ხომ არ გსურთ კარიერის ამ გუნდში დასრულება?

— კარიერის დამთავრებაზე ჯერ არ მიფიქრია. ჩემს უახლოეს მომავალს კი „არსენალს“ ვუკავშირებ.

— მიმდინარე სეზონში „არსენალს“ რომელი ადგილის დაკავება შეუძლია?

— კარგი გუნდი გვყავს და ჩემი აზრით, უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო შვიდ კლუბს შორის მოხვედრა შეგვიძლია.

— კლუბის შიდა სამზარეულოში რაიმე პრობლემები ხომ არ არსებობს?

— არანაირი.

— „არსენალის“ ხელმძღვანელობასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ნორმალური, საქმიანი.

— რას ნიშნავს თქვენთვის საფეხბურთო კლუბი „არსენალი“?

— დღესდღეობით, „არსენალი“ ჩემი აწმყო და მომავალია.

— რამდენად პრინციპულია „არსენალისთვის“ დერბი კიევის „დინამოსთან“?

— ძალიან პრინციპულია. დერბი მაინც დერბია და ჩვენი მიზანი ყოველთვის ის არის, რომ „დინამოსთან“ შეხვედრა ყოველთვის „არსენალის“ სასარგებლოდ დასრულდეს.

— თამაშისას გულშემატკივართა მხარდაჭერა რამდენად გეხმარებათ?

— მათი მხარდაჭერის გარეშე თამაში ძალიან ძნელია.

— რატომ ვერ მოახერხეთ კიევის „დინამოში“ უფრო დიდხანს დარჩენა?

— შესაძლოა, გუნდში ადაპტაცია სწრაფად ვერ გავიარე, ხოლო „დინამოში“ არსებული კონკურენციის გათვალისწინებით, მსგავსი რამ დაუშვებელია. ამიტომ, როგორც კი ესპანეთიდან შეთავაზება მივიღე, მაშინვე დავთანხმდი.

— და ესპანურ „სოსიედადში“ დამკვიდრება რატომ ვერ მოახერხეთ?

— ამაში ხელი მუხლის ტრავმამ და არაევროკავშირის ქვეყნებიდან ჩასულ ლეგიონერებზე დაწესებულმა ლიმიტმა შემიშალა.

— „ფეიენოორდში“ გატარებული პერიოდი რით დაგამახსოვრდათ?

— როგორც ფეხბურთელს, ჰოლანდიაში გატარებული დრო ძალიან გამომადგა. იქ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისგან სრულიად განსხვავებული საწვრთნელი პროცესი ვნახე. ჰოლანდიაში უფრო ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე უკრაინაში.

— თქვენს მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან განსაკუთრებით რომელს გამოარჩევთ?

— 2000-01 წლების სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში ბელგიის „ანდერლეხტის“ წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩს, რომელიც 4:0 მოვიგეთ. მაშინ, ჩემს დაბადების დღეზე, ორი გოლი გავიტანე.

— როგორც ამბობენ, იმ შეხვედრის შემდეგ, დაბადების დღე უკრაინის ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ცოლმა, ლუდმილა კუჩმამ მოგილოცათ...

— მატჩის შემდეგ ლუდმილა კუჩმა გასახდელში შემოვიდა და „თბილისო“ წაიმღერა. ამან ძალიან გამაკვირვა და მესიამოვნა.

— თქვენი გოლებიდან ყველაზე ლამაზად რომელი მიგაჩნიათ?

— ბევრი ლამაზი გოლი მაქვს გატანილი, მაგრამ ყველაზე მეტად ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნის“ კარში გატანილი დამამახსოვრდა.

— დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო კლუბად რომელს თვლით?

— იტალიურ „მილანს“.

— იქ თქვენი მეგობარი კახა კალაძე თამაშობს. როგორ მიდის მისი საქმეები? მასთან ხშირი ურთიერთობა გაქვთ?

— კალაძეს ყველაფერი კარგად აქვს, ხშირად ვეკონტაქტებით. ახალი წელიც ერთად გავატარეთ, ხოლო შემდეგ საკუთარ კლუბებს დავუბრუნდით.

— როგორც ცნობილია, მომავალში, კახა კალაძის დარად, კიევში ცხოვრებას გეგმავთ...

— კარიერას რომ დავამთავრებთ, ორივეს გადაწყვეტილი გვაქვს, რომ კიევში ვიცხოვროთ. ისე, საიდუმლოდ გეტყვით, აქ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგონები ცხოვრობენ.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრები, რომელსაც საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს, რატომ ვერ ახერხებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში წარმატებით გამოსვლას?

— ქართველები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ ჩანს, კონცენტრაცია გვაკლია.

— საქართველოს ეროვნულ გუნდს კლაუს ტოპმიოლერმა რა მისცა?

— იმის გათვალისწინებით, რომ ტოპმიოლერი ძალიან კარგი სპეციალისტია, ჩვენს ნაკრებს ყველაფერი წინ აქვს.

— კარიერის განმავლობაში არაერთ კლუბში გითამაშიათ. თბილისის გარდა, ყველაზე კომფორტულად თავს რომელ ქალაქში გრძნობდით?

— ვლადიკავკაზში, სადაც „ალანიას“ ძალიან გულმხურვალედ ქომაგობენ. ეს კი ფეხბურთელისთვის მთავარია.

— რომელი კერძი გიყვართ?

— ხორცთან ერთად შემწვარი კარტოფილი, რომელსაც ქართულ რესტორნებში გემრიელად ამზადებენ.

— თქვენი ჰობი რა არის?

— ჰობი არ მაქვს. უბრალოდ, მეგობრებთან ერთად ყოფნა მიყვარს.

— უპირატესობას რომელ ავტომობილს ანიჭებთ?

— „მერსედესს“, რადგან ყველაზე ხარისხიანი ავტომობილია მსოფლიოში.

— რომელი ფილმი, მომღერალი და მსახიობი მოგწონთ?

— ფილმებიდან „ერთხელ ამერიკაში“ მომწონს. მიყვარს იტალიური სიმღერები და უპირატესობას ქართველ მსახიობებს ვანიჭებ.

— ამჟამად რა მარკის ავტომობილი გაქვთ?

— AUDI8 მქონდა, ახლა X5-ის შეძენა მსურს.

— რომელია კიევში თქვენი საყვარელი ადგილი?

— საკუთარი სახლი.

— კარიერის დასრულების შემდეგ რას აპირებთ?

— ჯერჯერობით, კარიერის დამთავრებას არ ვაპირებ. მართალი გითხრათ, არც მიფიქრია რით დავკავდები, ფეხბურთის თამაშს რომ დავასრულებ.

— პოლიტიკა გაინტერესებთ? საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მხარი ვის დაუჭირეთ?

— რა თქმა უნდა, მაინტერესებს. არჩევნებზე მხარი მიხეილ სააკაშვილს დავუჭირე, ვინაიდან ამ ადამიანმა ქვეყანაში წესრიგი დაამყარა და საქართველოში ცხოვრება გააუმჯობესა.

# რუბინმა მხოლოდ სალუქვაძე გამოარჩინა

თურქულ შეკრებაზეა ყაზანის „რუბინი“. ყაზანელებმა პირველი საკონტროლო მატჩი გამართეს მეორებუნდესლიგურ აუე-სთან და 0:1 დამარცხდნენ.

ყაზანელებმა ორი შემადგენლობით ითამაშეს — ლაშა სალუქვაძე პირველ 45 წუთში გაისარჯა.

ავარიის შემდეგ ნუკრი რევიშვილი ჯერაც უქმობს (სხვათა შორის, რუბინელთა მეკარე რიჟიკოვი ერთადერთი იყო, ვინც ამ მატჩში არ შეუცვლიათ). არ გამოჩენილა ახალგაზრდა მცველი ზურაბ არზიანიც.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დარასელია და ტორპედო შეკრებიდან შეკრებაზე

რუსეთის პირველდივიზიონელი მოსკოვის „ტორპედო“ პირველ მოსამზადებელ შეკრებაზეა და გუნდთან ერთად ერთი ქართველი, „თბილისის“ ყოფილი ნახევარმცველი გედევან დარასელია ვარჯიშობს.

„ტორპედო“ 27 იანვარს თურქულ ბელეკში გაემგზავრება და, სავარაუდოდ, დარასელიაც გაჰყვება გუნდს.

შეგახსენებთ, რომ „ტორპედოს“ კიდევ ერთი ქართველი, ახალგაზრდული ნაკრების წევრი ბექა ჟღენტი თბილისის „მერანშია“ განათხოვრებული.

**ძაბა ზალამბერიძე**



# იაშვილის წულოვანი ტაიმი

შვეიცარიულმა „თუნმა“ წლევანდელ პირველი ტესტ-მატჩი გამართა და თბილისის „დინამოს“ ყოფილ საუეფასთასო მეტოქესთან, ლიხტენშტაინურ „ვადუცთან“ 0:1 დათმო. „თუნმა“ ორი შემადგენლობით ითამაშა, სანდრო იაშვილი მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე და აქტიურიც გახლდათ, თუმცა გოლს ვერა და ვერ გამორჩა.

**ილია ნანობაშვილი**

# ზაკარპატიელთა ახალი კიეველი

## იმედაშვილი ქართულ კვალზე



კიევის „დინამოსა“ და უჟგოროდის „ზაკარპატიეს“ თანამშრომლობა გრძელდება. ჯერ იყო და, „ზაკარპატიეში“ კიეველებმა პირველ წრეში ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი გაანათხოვრეს, სეზონის მეორე ნახევარს კი ასევე იჯარის წესით უჟგოროდულ კლუბში დავით იმედაშვილი გაატარებს.

კიეველებს იმედაშვილი ლიტვურ „ვენტსპილსში“ ჰყავდათ განათხოვრებული, თუმცა ჩვენებურმა ძირითადში დამკვიდრება ვერ შეძლო.

ახლა კი იმედაშვილი, რომელიც ჯერაც „დინამო 2“-თან ერთად ემზადება, „ზაკარპატიეში“ გადაბარგდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ბალტიის ლიგა ვარსკვლავებს აგროვებს, ცინცაძე კი ხმებს

**გუშინ** გიორგი ცინცაძემ ესტონეთის ჩემპიონატის ლიდერ „კალევთან“ გაიბრწყინა, 17 ქულით თავისიანთაგან ბომბარდირი გახდა და „როკს“ გაამარჯვებინა. ამ და უცხოეთში მოთამაშე სხვა ჩვენიანთა ამბებს ხვალ შემოგთავაზებთ, ახლა კი ცინცაძის სხვა, გაცილებით დიდ წარმატებაზე მოგითხრობთ.

2 თებერვალს ბალტიის ლიგის ოლ სტარი გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს ადგილობრივებისა და უცხოელების ნაკრებები დაუპირისპირდებიან. ადგილობრივებში ესტონელები, ლიტველები და ლატვიელები იგულისხმებიან, უცხოელებში კი... ძირითადად ამერიკელები.

ბალტიის ქვეყნებში, ისევე როგორც სხვაგან, ამერიკელთა მიძალებაა და იქ არაერთ მართლაც უძლიერეს ატლანტისგაღმელს მოუყრია თავი. „ჟალგირისში“, „ლიეტუვოს რიტასში“ და სხვა მძლავრ ბალტიურ კლუბებში ნბაგამოვლილი კალათბურთელები თამაშობენ. ამ მომენტს იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ გიორგი ცინცაძის მართლაც სერიოზული აღიარება გამოვარჩიოთ...

ნახევარი თვეა, ბალტიის ლიგის საიტზე საოლსტარო გამოკითხვა მიმდინარეობს, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ლიდერები უკვე გამოიკვეთნენ. ქართველი გამთამაშებელი უცხოელ უკანახაზელებში „იყრის კენჭს“ და 8463 ხმით პირველ ადგილზეა. ცინცაძე ოთხასამდე ხმით უსწრებს კაუნასის „ჟალგირისის“ ამერიკელ გამთამაშებელ მარკუს ბრაუნს, რომელსაც ნბა-შიც უთამაშია და რამდენიმე წელია, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებლად ითვლება.

თუ გამოკითხვა ასეთი მიმდევრობით დასრულდა, ცინცაძეს და ბრაუნს ოლ სტარი ელოდებათ — ყველა ვარსკვლავის მატჩში პირველ-მეორე ადგილზე გასული უკანახაზელები ითამაშებენ. ბრაუნ-ცინცაძის მდევარს, რიგის ასკ-ელ კერტის მილაგს 7277 ხმა აქვს, მის მომდევნო მარკო პოპოვიჩს კი — 6674 და ძნელად სავარაუდოა, ქართველი ოლ სტარში ვერ მოხვდეს.

ცინცაძემ შარშანაც დაიმსახურა ბალტიის ლიგის ოლ სტარში თამაში, უცხოელ უკანახაზელებში მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ რატომღაც ვარსკვლავ-მატჩის მიღმა დარჩა. მის მაგივრად ლეგიონერთა ნაკრებში ხორვატიის ნაკრების გამთამაშებელი მარკ პოპოვიჩი ჩასვეს, რომელიც ახლა უკანახაზელთა გამოკითხვაში მეოთხეა და ცინცაძეს 1500 ხმით ჩამორჩება.

ყველაზე სასიამოვნო კი ისაა, რომ გიორგი არა მარტო თავის ამპლუაში, მთლიანად გამოკითხვაში ლიდერობს.

**ირაკლი პერტაია**

## ბალტიელები

| | |
|---|---|
| **ცენტრები** | |
| ვალო ალინგუ (როკი) | 7080 |
| ეურელიუს ჟუკაუსკასი (ჟალგირისი) | 6936 |
| რაიტის გრაფტსი (ასკ რიგა) | 5264 |
| **ფორვარდები** | |
| კრისტიან კანგური (კალევი) | 7853 |
| იონარ ტალტსი (როკი) | 7539 |
| იონას მასიულისი (ჟალგირისი) | 7333 |
| პაულიუს იანკუნასი (ჟალგირისი) | 5377 |
| **უკანახაზელები** | |
| მანტას კალნიეტისი (ჟალგირისი) | 7721 |
| სანდის ვალტერსი (ასკ რიგა) | 6839 |
| ტანელ ტეინი (როკი) | 6492 |
| მანტას რუიკისი (შაულიაი) | 5939 |

## უცხოელები

| | |
|---|---|
| **ცენტრები** | |
| ტრევის რიდი (კალევი) | 7568 |
| მაიკლ ბრედლი (ჟალგირისი) | 6236 |
| აარონ ჯორდანი (ასკ რიგა) | 4591 |
| **ფორვარდები** | |
| მეთიუ ნილსენი (ლიეტუვოს რიტასი) | 7699 |
| გორან იურაკი (ჟალგირისი) | 7096 |
| დუეინ ბროილსი (ასკ რიგა) | 6734 |
| ჩარლზ ეიდსონი (ლიეტუვოს რიტასი) | 6227 |
| **უკანახაზელები** | |
| გიორგი ცინცაძე (როკი) | 8463 |
| მარკუს ბრაუნი (ჟალგირისი) | 8068 |
| კერტის მილაგი (ასკ რიგა) | 7247 |
| მარკო პოპოვიჩი (ჟალგირისი) | .6974 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ატლანტას ჯიბე ამოუცარიელეს

11 იანვარი

**ატლანტა 98:102 ვაშინგტონი**

ძირითადი დრო 87:87

**ატლანტა:** ე. ჯონსონი (5), ჯ. ჯონსონი (23), მ. უილიამსი (16), სმიტი (35), ჰორფორდი (8 ქულა, 19 მოხსნა); ჩილდრესი (11), ლოუ, რაიტი, ვესტი

ფაჩულიას არ უთამაშია

**ვაშინგტონი:** დანიელსი (14), სტივენსონი (19), ბატლერი (21), ჯემისონი (22 ქულა, 17 მოხსნა), ჰეივუდი (2), ბლეტჩი (13), მეისონი (5), სონგაილა (2), იანგი (2), პეჩეროვი (2), მაგუაირი

11 იანვარი ძალიან უიღბლო დღე გამოდგა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსისთვის“. ამ დღეს „ქორებს“ მეტოქემაც დასანანი მარცხი აგემა — „ვაშინგტონთან“ დამატებით დროში წააგო დრამატული შეხლა და გარდა ამისა, „ატლანტა“ კაბინეტშიც დამარცხდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ნბა-მ 19 დეკემბერს „ატლანტასა“ და „მაიამის“ შორის გამართული ჯახის ბოლო 51,9 წამის გადათამაშება ბრძანა. ასეთი რამ ნბა-ში ბოლოს 1982 წელს მოხდა. 19 დეკემბრის მატჩი „ატლანტამ“ ასევე ოვერტაიმში 117:111 მოიგო და სხვათა შორის, მაშინ მისმა ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ 13 ქულა და 8 მოხსნა გააკეთა. „მაიამიმ“ მოგვიანებით გაასაჩივრა იმ მატჩის შედეგი, აქაოდა, ოვერტაიმის დამთავრებამდე 51,9 წამით ადრე ჩვენმა შაკილ ონილმა მეექვსე პერსონალური რომ მიიღო და გავარდა, სინამდვილეში ის მისთვის მეხუთე პერსონალური იყო, მთავარ არბიტრს შეეშალა და უსამართლოდ გაგვიგდეს კაციო. ნბა-მ გულდასმით გაარჩია საჩივარი და გადათამაშება ბრძანა, რაც თავისთავად ხელს არ აძლევს „ატლანტას“, მან ხომ უკვე მოიგო ის თამაში, ახლა კი გაირკვა, რომ ხელმეორედ მოსაგებად მოუწევს ოფლის ღვრა.

რაც შეეხება „ვაშინგტონთან“ გამართულ გუშინდელ მატჩს, „ატლანტასთვის“ ესეც ისეთი გამოვიდა, თითქოს გამარჯვება ჯიბიდან ამოაცალესო. ვაშინგტონელმა ანტონიო დანიელსმა ოვერტაიმში საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე ჩააგდო გადამწყვეტი ბურთი და „ატლანტა“ რომელსაც დილით 16:16-თან ჰქონდა წლიური შედეგი, ამ მარცხის და იმ გადასათამაშებელი გამარჯვების გამოკლების შემდეგ 15:17 ბალანსის პირზე აღმოჩნდა.

განსაკუთრებით წაუხდა გუნება ატლანტელთა ფორვარდ ჯოშ სმიტს, ვინაც „ვაშინგტონს“ 35 ქულა ჩაუგდო და ზედაც 9 მოხსნა, 5 პასი და 3 დაფარება გააკეთა. „რას ვიზამთ, ისღა დაგვრჩენია, ეს უსიამოვნო ამბები გონებიდან ამოვირეცხოთ და გავაგრძელოთ ცხოვრება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს“ — ნაღვლობდა სმიტი.

„ვაშინგტონთან“ მატჩიც გაუცდა ზაზა ფაჩულიას, ვისაც ამ სეზონში ტრავმები მიეწყო და ახლაც, თითის მიკროტრავმის გამო გამოტოვა აგერ მეორე მატჩი.

**ბოტე ყორშია**



ატლანტელი ენტონი ჯონსონი ვაშინგტონელების კერონ ბატლერისა და ანტაუნ ჯემისონის თაღქვეშ

11 იანვარი

**ფილადელფია 97:100 ჩიკაგო**

**ფილადელფია:** იგუდალა (25), დალემბერტი (21 ქულა, 20 მოხსნა), მილერი (20)

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (26), სმიტი (19), გორდონი (15)

**კლივლენდი 113:106 შარლოტი**

ძირითადი დრო 93:93

**კლივლენდი:** ჯეიმსი (31 ქულა, 19 მოხსნა), ვარეჟაო (16 ქულა, 18 მოხსნა), ჰიუზი (16)

**შარლოტი:** ვოლესი (27 ქულა, 12 მოხსნა), რიჩარდსონი (19), კეროლი (18)

**ნიუ ჯერსი 77:86 ბოსტონი**

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (17), კარტერი (16), ბუნი (14 ქულა, 16 მოხსნა)

**ბოსტონი:** გარნეტი (20 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (18), ალენი (16)

**ნიუ იორკი 90:99 ტორონტო**

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (27), რობინსონი (24), მარბერი (13)

**ტორონტო:** ბოში (40 ქულა, 11 მოხსნა), მუნი (13), პარკერი (13)

**ნიუ ორლეანი 114:88 მაიამი**

**ნიუ ორლეანი:** ჯექსონი (25), ჩანდლერი (19), პოლი (16 ქულა, 16 პასი)

**მაიამი:** ბლუნტი (27), უილიამსი (12), ვეიდი (11)

**ჰიუსტონი 113:82 მინესოტა**

**ჰიუსტონი:** სკოლა (22), ლენდრი (15 ქულა, 11 მოხსნა), მინი (15)

**მინესოტა:** გომესი (20), ბრიუერი (16)

**დენვერი 113:103 ორლანდო**

**დენვერი:** ენტონი (32 ქულა, 11 მოხსნა), აივერსონი (21 ქულა, 13 მოხსნა), კარტერი (21 ქულა, 11 მოხსნა)

**ორლანდო:** ლუისი (21), ჰოვარდი (20 ქულა, 13 მოხსნა), ევანსი (15)

**გოლდენ სტეიტი 116:104 მემფისი**

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (27), ჯექსონი (20), დევისი (20 ქულა, 19 პასი)

**მემფისი:** გასოლი (43 ქულა, 11 მოხსნა), ნავარო (20)

**ლეიკერსი 110:105 მილუოკი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (37), ბინამი (25 ქულა, 17 მოხსნა)

**მილუოკი:** უილიამსი (28), რედი (22), ბოგუტი (14 ქულა, 11 მოხსნა)

**სიეტლი 70:90 დალასი**

**სიეტლი:** შჩერბიაკი (17), დურანტი (15), კოლისონი (15)

**დალასი:** ნოვიცკი (20), ჰოვარდი (18 ქულა, 11 მოხსნა)

12 იანვარი

**შარლოტი 100:103 დეტროიტი**

ძირითადი დრო 91:91

**შარლოტი:** ვოლესი (26), რიჩარდსონი (20), ოკაფორი (19 ქულა, 15 მოხსნა), მუჰამედი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**დეტროიტი:** ბილაფსი (27), ჰამილტონი (26 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), პრინსი (22)

**ვაშინგტონი 85:78 ბოსტონი**

**ვაშინგტონი:** სტივენსონი (19), ბატლერი (16 ქულა, 10 მოხსნა), ჯემისონი (10 ქულა, 16 მოხსნა)

**ბოსტონი:** გარნეტი (19), პირსი (15)

**სან ანტონიო 105:88 მინესოტა**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (22), პარკერი (21), დანკანი (15)

**მინესოტა:** ჯეფერსონი (24), გომესი (21), მაკკანტსი (17)

**იუტა 119:115 ორლანდო**

**იუტა:** ოქური (29), უილიამსი (17 ქულა, 11 პასი), კირილენკო (16 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), ბუზერი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ორლანდო:** ჰოვარდი (29 ქულა, 15 მოხსნა), ლუისი (27)

**ფინიქსი 122:114 მილუოკი**

**ფინიქსი:** ნეში (35), სტუდემაიერი (31), დიაო (21 ქულა, 11 მოხსნა)

**მილუოკი:** ბოგუტი (29 ქულა, 11 მოხსნა), ბელი (18), რედი (18), საიმონსი (17)

**საკრამენტო 105:111 ინდიანა**

**საკრამენტო:** მარტინი (25), გარსია (22 ქულა, 12 მოხსნა), სალმონსი (15), მილერი (14 ქულა, 15 მოხსნა)

**ინდიანა:** დანლივი (23), დინერი (19)

**კლიპერსი 94:95 დალასი**

**კლიპერსი:** ტომასი (21), მაგეტი (20), მობლი (20)

**დალასი:** ნოვიცკი (22), ტერი (20)



„სან ანტონიოს“ თავკაცმა გრეგ პოპოვიჩმა კარიერაში მეექვსასე გამარჯვება მოიპოვა



# ჯერ პეკინი გადავაგორო...

## რამაზ ნოზაძე ფეხზე მყარად დგას

**გასულ წელს რამაზ ნოზაძე საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. შარშან რამაზმა, რისი მოგებაც შეიძლებოდა, თითქმის ყველაერი მოიგო, გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. ამჟამად რამაზი უკვე ოლიმპიადისთვის ემზადება. და სავარაუდოდ, პეკინის ოლიმპიადაზე 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში უმთავრესი ფავორიტი იქნება. უახლოეს ტურნირს ნოზაძე 26-27 იანვარს იჭიდავებს პარიზში. ჩვენ, რა თქმა უნდა, მისი საოლიმპიადო პროგნოზებით დავინტერესდით და რამაზიც გულახდილად გვესაუბრა...**

— გასული წლის საუკეთესო ქართველი სპორტსმენი გახდი. მოელოდი მოვლენების ასეთ განვითარებას?

— 2007 წლის დასაწყისში ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთ შედეგებს მივაღწევდი, მაგრამ, უკვე სეზონის ბოლოსთვის ვფიქრობ, რომ სრულად დამსახურებულად დამასახელეს საუკეთესო სპორტსმენად.

— როგორ ემზადები პეკინის ოლიმპიადისთვის?

— ჯერჯერობით ინტენსიური მზადება არ დაგვიწყია, მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშები გვაქვს, მაგრამ ოლიმპიადისთვის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვიქნები.

— გავრცელდა ხმები, თითქმის ეგვიპტელი ქარიმ აბდულ იბრაჰიმი, რომელთანაც წინა ოლიმპიადის ფინალში დამარცხდი, აქტიური სპორტიდან წავიდა...

— მისი სპორტიდან წასვლის ამბავი დანამდვილებით არავინ არ იცის. რომც დარჩეს, მარტო მასთან კი არა, სხვებთანაც თავდაუზოგავი ბრძოლა მომიწევს. ოლიმპიადაზე სუსტი კონკურენტი არ არსებობს. მით უმეტეს, რომ მოჭიდავეებს შორის დონე გათანაბრებულია და ერთი ხელის მოსმით ველარავის მოუგებ.

— ახალი წესების შემოღების გამო შეიძლება პარტერში უფრო დიდხანს მოგიწიოს ჭიდაობა. ჩოქბჯენი კი შენს კოზირად ითვლება. ეს თუ იქონიებს გავლენას შედეგებზე?

— ალბათ იქონიებს, მაგრამ მოწინაალმდეგეები ეცდებიან, დგომში უფრო აქტიურები იყვნენ. დგომი ჩემი უძლიერესი მხარე არ არის. სამაგიეროდ, არა მგონია, სერიოზულად რამე მავნონ, ანუ ფეხზე დგომისას საერთოდ ნაკლები შანსია, ვინმემ ქულა ამიღოს.

— პეკინის ოლიმპიადის შემდეგ თუ იყურები, ანუ შენთვის მესამე ოლიმპიადაზე თუ ფიქრობ?

— რა თქმა უნდა. ჯერ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ სრული კონცენტრაცია პეკინისთვის მჭირდება. ჯერ ეს გადავაგორო.

**ზურაბ მიგრიაული**



# კარგი დასაწყისი



პროფესიონალ სუმოისტთა წლის პირველი სუპერტურნირი, იანვრის ბაშო გუშინ ტოკიოში „რიოგოკუ კოფუგინში" დაიწყო და პირველივე დღეს პირველი გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა გოლიათებმა.

აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირამ ლევან ცაგურიამ ანუ იმავე კოკაიმ თავისზე 13 კილოგრამით მსუბუქ მეტოქეს, დასავლეთის მე-9 მაეგაშირა ვაკაკირიანს იოლად სძლია. კოკაის წონა 148 კილოგრამია.

რანგით მეორე დაიზიონში წარმატებული დებიუტი ჰქონდა 20 წლის ლევან გორგაძეს, ვინც ბაშოზე ტოჩინოშის მეტსახელით ჭიდაობს. გორგაძემ ილეთით სძლია დასავლეთის მე-12 ძურიოს იაპონელ სატოიამას და დღეს იაპონელსავე კიტატაიკას დაუპირისპირდება, რომელმაც ქართველის დარად იანვრის ბაშო გამარჯვებით დაიწყო. ცნობისთვის, ლევან გორგაძე 145 კილოს იწონის.

**ბაჩო სვანიძე**



# პირველი ქართველი ევროკომისიაში

## მაია აზარაშვილი მძლეოსნებმა დააფასეს

*საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი მაია აზარაშვილი ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის გაერთიანებულ კომისიაში შეიყვანეს, სადაც სულ 16 წევრია. საერთაშორისო ფედერაციამ მანამდე არსებული სხვა კომისიები დაშალა და ახალი დააარსა. კომისიის წევრები ტიტულებისა და გამოცდილების კრიტერიუმით შეირჩნენ. სათქმელია, რომ აქამდე ანალოგიურ კომისიაში ქართველი არ ყოფილა. **მაია აზარაშვილთან** ჩვენი მიკროინტერვიუ, სწორედ ამ თემაზე ლაპარაკით დავიწყეთ...*



— ჯერ ჩვენთვის კონკრეტული დავალებები არ მოუციათ. საერთოდ კი ეს კომისიები მძლეოსნობის განვითარებას ემსახურება მთელ მსოფლიოში. ვნახოთ, ალბათ უახლოეს მომავალში გარკვეულ გეგმას დავისახავენ.

— მძლეოსანთა ნაკრები ოლიმპიურ წელს როგორ ხვდება, რომელ ტურნირებში გამოხვალთ?

— ზამთრის საერთაშორისო ტურნირებიდან მარტში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს გამოვყოფ. საერთოდ, ზამთრის მსოფლიოს პირველობას ბევრი ქვეყანა ტოვებს ხოლმე საოლიმპიადო ციკლში. წამყვანი სპორტსმენებიდან თარჯმრბენი დავით ილარიანი უკრაინაში ემზადება, ხოლო მარიამ ქევხიშვილი აშშ-ში ვარჯიშობს და სწავლობს. ორივე იდეალურ პირობებში იმყოფება. ილარიანს ძალიან ძლიერი სპეციალისტი, ოლგა პრისკინა წვრთნის.

შესაძლებელია, თებერვალში თეირანის ტურნირზე გავუშვათ სპორტსმენები. კარგი დარბაზი გააკეთეს ბაქოში და არც იქ გამგზავრებაა გამორიცხული. საერთოდ, სულ ვცდილობთ, რომ ჩვენი მძლეოსნები საზღვარგარეთ წავიყვანოთ ხოლმე ტურნირებზე და ეს არცთუ ცუდად გამოგვდის.

რაც შეეხება შიდა პირველობას, მაისში ქუთაისში ახალგაზრდულ ჩემპიონატს ჩავატარებთ. დიდებში კი ჩემპიონატს ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს.

„მსოფლიოს მძლეოსნობის დღესაც" გავმართავთ, რომელიც მთელ მსოფლიოში ტარდება. ისე კი ყოველთვის ვასრულებთ საერთაშორისო ფედერაციის დავალებებს. 21-22 ივნისს ევროპის თასის საკვალიფიკაციო ტურნირს სლოვაკეთი უმასპინძლებს და ნაკრები იქ გაემგზავრება.

**ლექსო მაისურაძე**

# რაღა დროს დედოფლობაა?

## მერიონ ჯონსი ციხეში ჩასვეს



**არ იფიქროთ,** რომ დედოფლებს მხოლოდ შუა საუკუნეებში სვამდნენ ციხეში. ნორმალურ ქვეყანაში კანონი ყველასთვის ერთია არა მხოლოდ სიტყვით და ფურცელზე, არამედ საქმითაც და სასამართლოშიც.

მძლეოსნობის ყოფილი დედოფალი, ოდესღაც დიდების მწვერვალზე ყელმოღერებით მდგარი და ამ ყელზე ოქროს მედლებდაკიდული მერიონ ჯონსი ციხეში ჩაჯდება ექვსი თვით იმისთვის, რომ კანონი დაარღვია და გამოძიებას სინამდვილე დაუმალა.

სინამდვილე კი ის გახლავთ, რომ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი დოპინგს ხმარობდა და ეს დაუმტკიცდა კიდეც, რისთვისაც სპორტული კარიერის დამთავრება მოუხდა ჯერ კიდევ მაშინ, სანამ 30 წლისა გახდებოდა. ახლა კი მას სხვა რამეც დაუმტკიცდა, კერძოდ, ის, რომ ანტისადოპინგო გამოკვლევისას ის შეგნებულად და გააზრებულად უბნევდა გზა-კვალს გამომძიებლებს. ტყუილისვის მას პასუხისგება და მთელი თავისი ოქროებით მოჭედილი და, როგორც ბოლო ხანს გაირკვა, დოპინგით გაჟღენთილი კარიერის გაანალიზება გისოსებით მოჭედილ ოთხ კედელში მოუწევს.

ამ მისჯილი ექვსი თვიდან მერიონ ჯონსს ორი იმის გამო შეხვდა, რომ მან არ გაამხილა თავისი ქმრის, 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ექსრეკორდსმენ ტიმ მონტგომერის დოპინგიანობის ამბავი.

**კოტე ყორშია**

# მადრიდი, მინსკი, პეკინი
## ქართველები სალიცენზიოდ გაიწევენ


ბაჩო კეთილაძის ფოტო

ხვალ ქართველი წყალში მხტომელე-ბი ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი მადრიდში მსოფლიო თასის ეტაპზე გაემგზავრებიან და სარეიტინგო ქულებისთვის იბრძოლებენ. ესპანეთის დედაქალაქში, სავარაუდოდ, 25 ქვეყნის სპორტსმენები მოიყრიან თავს. ჩვენები იქ, როგორც სინქრონულში ასევე ინდივიდუალურ ხტომებში წარსდგებიან და თითო-თითო ახალ ნახტომსაც წარმოადგენენ. სპორტის საწყალოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ბართაიამ გვითხრა, რომ ბიჭები საერთაშორისო ტურნირს ნორმალურ ფორმაში ხვდებიან. მთავარი კი მაინც ის იქნება, შემდეგი სალიცენზიო ტურნირებისთვის როგორ მოერგებიან ახალ ვარჯიშებს

*ირაკლი ბართაია* — „თბილისში 22 იანვარს დავბრუნდებით და მალევე ბელარუსში გამგზავრება მოგვიწევს, სადაც 1-13 თებერვალს მასპინძლებთან ერთად შეკრებას გავივლით. იქ უნდა აღმოიფხვრას ის ხარვეზები, რომლებიც გვაქვს, საბოლოოდ დაიხვეწოს პროგრამა და ასე გავემგზავროთ პეკინის მსოფლიოს თასზე, რომელიც 15-25 თებერვალს შედგება და 18 ლიცენზიაც გათამაშდება. გეტყვით, რომ ბელარუსში შეკრებაზე ამ ორ სპორტსმენთან ერთად გეორგ გეორქიანსაც ვიახლებთ, ჩინეთში კი ამ სამიდან ორი უკეთესი წავა. პეკინიდან ჩინეთის სხვა ქალაქში, შენჟენში გადავინაცვლებთ მსოფლიო თასის მეორე ეტაპზე. სხვათა შორის, იქ გასამგზავრებელ ხარჯებს ჩვენი ჩინელი კოლეგები დაფარავენ. აქვე მოცურავეებზეც გეტყვით, რომელთაც საკმაოდ დატვირთული წელი აქვთ. მათ ელით ათენის, დუბლინის, პრაღის საერთაშორისო ტურნირები. ეს მოკლე აუზში (25 მეტრი) შეჯიბრებებია და აქაც იქნება სალიცენზიო შანსები. საერთაშორისო ფედერაციის დახმარებით მოცურავეები ინგლისში, კერძოდ კი მანჩესტერში აპრილის შუა რიცხვებში მოემზადებიან, რაც ძალიან კარგად წაადგებათ. მოკლედ, წინ საკმაოდ დატვირთული წელი გვაქვს და ვნახოთ, რა იქნება...

**ლექსო მაისურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბატონის იმედი ბრაუნს ემყარება

Formula 1

**მართალია,** იაპონურ ავტოკონცერნ „ჰონდას" 2008 წლის საპირველფორმულო სეზონისთვის ახალი მანქანის პრეზენტაცია ჯერ არ მოუხდენია, მაგრამ გუნდის ბრიტანელი პილოტი ჯენსონ ბატონი აქედანვე ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ წლეულს „ჰონდა" მნიშვნელოვნად მოუმატებს, ხოლო უკვე მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებს.

„ვფიქრობ, ამ სეზონში მოწინავე გუნდებს მივუახლოვდებით, გაისად კი ტიტულისთვისაც ვიბრძოლებთ — განაცხადა ბატონმა ბირმინგემში გამართულ ავტოშოუზე — თუ შევძლებთ და კარგ მანქანას გავაკეთებთ, ჩვენს საჯინიბოს ნამდვილად შეეძლება საჩემპიონო ბრძოლაში ჩართვა, რადგანაც, როგორც გუნდი, „ჰონდა" ძალიან ძლიერია".

ამრადა, ბატონმა, რომელსაც მალე 28 წელი შეუსრულდება, შარშანდელ სეზონში ოდენ 6 ქულა მოიპოვა, ხოლო გუნდის მეორე პილოტს, მრავალნაცად ბრაზილიელ რუბენს ბარიკელოს კიდევ უფრო უარესი შედეგი ჰქონდა. როგორც ჩანს, ბატონის ოპტიმიზმი იმას ემყარება, რომ „ჰონდაში" მივიდა „ფერარის" ყოფილი გენერალური დირექტორი როს ბრაუნი.

„მოხარული ვარ, რომ გუნდმა ბრაუნი დაითანხმა. როდესაც ის პირველად მოვიდა ჩვენთან, აპლოდისმენტებით შევხვდით. ასეთი ოვაცია არასოდეს მინახავს. ბუნებრივია, ის ჯადოქარი არ გახლავთ და ერთბაშად ყველაფერს ვერ შეცვლის, მაგრამ ვხედავ, რომ ბრაუნის მოსვლით სიტუაცია შეიცვალა, ყველა სერიოზული მუშაობისთვის განეწყო" — დაამატა ბატონმა.

**კახა ლომაძე**






# მომავლის დე ვილიე

**გასულ** კვირაში სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა „ქურციკების" თავკაცად პიტერ დე ვილიე ოფიციალურად დანიშნა. დე ვილიეს სამწვრთნელო კარიერის მიღწევები „ქურციკთა" 21-წლამდელთა ნაკრებს უკავშირდება. იგი პირველი შავკანიანია ამ პოსტზე. ვილიემ თანამდებობისთვის გადამწყვეტი ბრძოლა „ბლუ ბულზის" დამრიგებელ ჰაიკე მეიერს მოუგო.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის თავმჯდომარე ორეგან ჰოსკინსი ამობს, რომ დე ვილიეს დანიშვნა მსოფლიო რაგბიში მოსალოდნელმა ცვლილებებმა განაპირობა: „მინდა, გულწრფელი ვიყო სამხრეთაფრიკელი ქომაგის წინაშე. პიტერ დე ვილიეს მწვრთნელად დანიშვნა ვიწრო სარაგბო პრობლემებიდან არ გამომდინარეობს. მსოფლიო რაგბიში მოსალოდნელ ცვლილებებს მომზადებულნი უნდა შევხვდეთ და ნოვაციებს ფეხი ავუწყოთ. „ქურციკების" რიგებში თაობათა ცვლა იწყება, ამიტომ დე ვილიე ამ მხრივაც ოპტიმალური ვარიანტია. არ იფიქროთ, თითქოს ეს ფაქტორები დე ვილიეს ჩრდილავდეს, როგორც მწვრთნელს. იგი, პირველ რიგში, ბრწყინვალე სპეციალისტია".

„ქურციკების" ახალმა თავკაცმა კი საქმე წინ წაიგდო და თავის წინამორბედ ჯეკ ვაიტთან, გუნდის კაპიტან ჯონ სმიტთან და მსოფლიოს თასზე სამხრეთაფრიკელთა ერთ-ერთ ლიდერ ვიქტორ მეტფილდთან მოლაპარაკებები გააჩაღა. მას უნდა, რომ ის მორაგბეები, რომლებმაც მსოფლიოს თასის მოგებაში დიდი წვლილი შეიტანეს და ამჟამად ევროპაში რაგბობენ, მომავალში სანაკრებოდ ისევ გამოიყენოს. ახალი მწვრთნელის წინადადებას მეტფილდი სიხარულით გამოეხმაურა: „ყველანაირად ვეცდები, დე ვილიესთან კარგი ურთიერთობა შევინარჩუნო. მართალია, ამჟამად ევროპაში ვთამაშობ, მაგრამ კვლავაც მაქვს სურვილი, ნაკრებს გამოვადგე. მე მუდმივ მზადყოფნაში ვიქნები და თუ მწვრთნელი დამიძახებს, სიხარულით წავალ სათამაშოდ" — განაცხადა მეტფილდმა.

**ზურაბ მიგრიაული**

# სად არის, სხვაგან ახალი დაკარი...

**საფრანგეთის** ოფიციალურმა პირებმა გადაწყვიტეს, ყველაფერი გააკეთონ საიმისოდ, რათა შეინარჩუნონ ლეგენდარული რალი-რეიდი „დაკარი" იმ სახით, როგორითაც ის მთელი სამი ათეული წლის მანძილზე არსებობდა, ანუ რალი-რეიდის ტრასის ძირითადმა ნაწილმა კვლავაც აფრიკაში, საჰარის უდაბნოს ქვიშიან გზებზე უნდა გაიაროს.


ბერნარ ლაპორტი

შეგახსენებთ, რომ „დაკარი", რომელიც 1979 წლიდან ტარდება, წლეულს არ შედგა იმის გამო, რომ შარშანდელი წლის მიწურულს მავრიტანიაში „ალ-ქაიდას" ჩრდილოაფრიკულმა დაჯგუფებამ ოთხი ფრანგი ტურისტი მოკლა, არადა, მარათონული რალის რვა ეტაპი, სწორედ მავრიტანიაში იყო დაგეგმილი და ამ აფრიკული ქვეყნის ხელმძღვანელებმა „დაკარის" მონაწილეებს უსაფრთხოების გარანტია ვერ მისცეს.

საფრანგეთის სპორტის მინისტრმა, ქვეყნის მორაგბეთა ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ბერნარ ლაპორტმა განაცხადა, რომ ქვეყნის მთავრობა ყველა შესაძლებელ საშუალებას გამოიყენებს, რათა 2009 წლის „დაკარი" ჩატარდეს და, თანაც ჩატარდეს აფრიკის კონტინენტზე, რადგანაც, თუ რალი-რეიდს მარშრუტს შეუცვლიან და სხვაგან გადაიტანენ, ეს, უკვე სულ სხვა შეჯიბრი იქნება და არა უამრავი ადამიანისთვის უაღრესად საყვარელი „დაკარი".

**კახა ლომაძე**

# სარეიტინგო ადი-ჩადი


სალომე დევიძე

**სეზონის** პირველი სლემტურნირის, ავსტრალიის ღია პირველობის დაწყების წინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა, რომელთა ქვედა ასეულებში კვლავაც 14 ქართველია — ოთხი კაცი და ათი ქალი.

იქიდან გამომდინარე, რომ წლების გასაყარზე ჩვენებურებს არსად უთამაშიათ (სალომე დევიძეს თუ არ ჩავთვლით, რომელმაც გასულ კვირაში ამერიკულ ტამპაში ITF-ის ეგიდით გამართული 25-ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი წრე კი გაიარა, მაგრამ შემდეგ ტრავმის გამო უარი თქვა თამაშზე), ბუნებრივია, კლასიფიკაციებში, ფაქტობრივად, ისევ იქ არიან, სადაც იყვნენ.

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 370 (0) | ლადო ჩიხლაძე | 91 |
| 1215 (-1) | ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1484 (0) | გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1484 (0) | გიორგი ქანტურია | 1 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 184 (+1) | მაკა ჩახნაშვილი | 160 |
| 285 (0) | ანა ტატიშვილი | 88 |
| 409 (0) | სოფო შაფათავა | 46 |
| 514 (+1) | თინა ყავლაშვილი | 31 |
| 592 (-1) | სალომე დევიძე | 22 |
| 608 (+1) | მანანა შაფაქიძე | 21 |
| 646 (0) | ოქსანა კალაშნიკოვა | 18 |
| 692 (0) | სოფო ქვაცაბაია | 16 |
| 807 (0) | ეკა გიორგაძე | 10 |
| 847 (0) | სოფო მელიქიშვილი | 9 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7180 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5780 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4315 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2615 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2530 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2005 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1895 |
| 9. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1830 |
| 10. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1775 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1720 |
| 12. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1705 |
| 13. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1685 |
| 14. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1670 |
| 15. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1610 |
| 16. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1600 |
| 17. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1598 |
| 18. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1505 |
| 19. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1440 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1425 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 50 |
| 2-3. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) | 47 |
| 2-3. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 47 |
| 4. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) | 43 |
| 5-6. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 35 |
| 5-6. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 35 |
| 7. კრის გუჩიონე (ავსტრალია) | 27 |
| 8-10. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 24 |
| 8-10. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 24 |
| 8-10. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 24 |
| 11-12. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 22 |
| 11-12. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 22 |
| 13-14. აგუსტინ კალერი (არგენტინა) | 20 |
| 13-14. ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 20 |
| 15-16. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 18 |
| 15-16. კარლოს მოია (ესპანეთი) | 18 |
| 17-21. ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) | 15 |
| 17-21. ხუან მონაკო (არგენტინა) | 15 |
| 17-21. ჯოზეფ სირიანი (ავსტრალია) | 15 |
| 17-21. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 15 |
| 17-21. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 15 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 6430 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3810 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3516 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3390 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2956 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2880 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2772 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2367 |
| 10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2191 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1985 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1977 |
| 13. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1882 |
| 14. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1862 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1836 |
| 16. დინარა საფინა (რუსეთი) | 1750 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1640 |
| 18. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1503 |
| 19. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1316 |
| 20. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1308 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტი ენინი (ბელგია) | 275 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 190 |
| 3. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 160 |
| 4. ნა ლი (ჩინეთი) | 140 |
| 5. ენელი დანილიდუ (საბერძნეთი) | 130 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 125 |
| 7. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 115 |
| 8. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 110 |
| 9. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 101 |
| 10-11. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 100 |
| 10-11. შაჰარ პირი (ისრაელი) | 100 |
| 12. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 90 |
| 13. კაია კანეპი (ესტონეთი) | 86 |
| 14. არავან რეზაი (საფრანგეთი) | 80 |
| 15. ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) | 72 |
| 16-17. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 70 |
| 16-17. ფლავია პენეტა (იტალია) | 70 |
| 18-19. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 65 |
| 18-19. სოფი არვიდსონი (შვედეთი) | 65 |
| 20-22. მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელანდია) | 50 |
| 20-22. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 50 |
| 20-22. ტამირა პაზეკი (ავსტრიპ) | 50 |



**მასტერსის ტურნირი. ლონდონი. ინგლისი. 13-21 იანვარი**

# ურეიტინგო, მაგრამ ფულიანი


რონი ოსალივანი ლონდონში ტიტულის დაცვას შეეცდება

**კვირას** ლონდონში დაიწყო ახალი წლის პირველი დიდი შეჯიბრი, არასარეიტინგო, მაგრამ უაღრესად პრესტიჟული „მასტერსი", რომელიც თავისი ისტორიით ოდენ მსოფლიო ჩემპიონატებს ჩამოუვარდება, გვარიანი საპრიზო ფონდით ამაყობს (გამარჯვებული 210 ათას ფუნტს მიიღებს) და თანაც, დიდი ტურნირებიდან ერთადერთია, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ტარდება.

„მასტერსზე" 16 უძლიერესი სნუკერისტი თამაშობს — ოფიციალური რეიტინგის 14 მოწინავე, კვალიფიკაციის გამარჯვებული და ერთიც ბედნიერი იღბლიანი, ვისაც ორგანიზატორები „ვაილდ ქარდს", ანუ მოწვევას უგზავნიან. აქვე ვთქვათ, რომ „ვაილდ ქარდი" ოქტომბერში გამართული სარეიტინგო შეჯიბრის, შოტლანდიური „დიდი პრიზის" გამარჯვებულ ტაივანელ მარკო ფუს ერგო, ხოლო კვალიფიკაცია გამოცდილმა ბარი ჰოუკინსმა მოიგო, ვისაც წინასწარ რეიტინგში 30-ე ადგილი უკავია.

სნუკერის ტრადიცია ასეთია და პირველ ნომრად შარშანდელი გამარჯვებული და ამავდროულად, ბოლო სარეიტინგო ტურნირის, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატის მომგები რონი ოსალივანი განთესეს, ხოლო მეორე ნომრად — მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჯონ ჰიგინსი.

ზოგადად, წილისყრა რომ ბრმაა, ამ ჯერზეც ნათლად გამოჩნდა და პირველივე წრეში ერთმანეთს წინასწარი, ანუ მიმდინარე რეიტინგის მოწინავენი, ინგლისელი რონი ოსალივანი და შოტლანდიელი სტივ მაგუაერი დაუპირისპირდებიან, რომლებიც დეკემბერში გამართულ გაერთიანებული სამეფოს ჩემპიონატში ფინალში დაეტაკნენ და მაშინ რონიმ პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე.

ოსალივანის და მაგუაერის გარდა, სატურნირო ბადის ზედა ნახევარში მოხვდნენ სტივ ჰენდრი (შოტლანდია), მარკ სელბი (ინგლისი), კენ დოჰერტი ირლანდია), მარკ უილიამსი (უელსი), შონ მერფი (ინგლისი) და ალისტერ კარტერი (ინგლისი), ხოლო ქვევით შოტლანდიელ ჰიგინსთან ერთად, ჩინელი დინ ჯუნხუ, ტაივანელი მარკო ფუ, ავსტრალიელი ნილ რობერტსონი, ინგლისელი ბარი ჰოუკინსი, შოტლანდიელი პიტერ ებდონი, ინგლისელი სტივ ლი და კიდევ ერთი შოტლანდიელი გრემ დოტი არიან.

## მასტერსის ყველა გამარჯვებული

1975 ჯონ სპენსერი
1976 რეი რიარდონი
1977 დუგ მაუნჯოო
1978 ალექს ჰიგინსი
1979 პერი მანსი
1980 ტერი გრიფიტსი
1981 ალექს ჰიგინსი
1982 სტივ დევისი
1983 კლიფ ტორბურნი
1984 ჯიმი ვაიტი
1985 კლიფ ტორბურნი
1986 კლიფ ტორბურნი
1987 დენის ტეილორი
1988 სტივ დევისი
1989 სტივ ჰენდრი
1990 სტივ ჰენდრი
1991 სტივ ჰენდრი
1992 სტივ ჰენდრი
1993 სტივ ჰენდრი
1994 ალან მაკმანუსი
1995 რონი ოსალივანი
1996 სტივ ჰენდრი
1997 სტივ დევისი
1998 მარკ უილიამსი
1999 ჯონ ჰიგინსი
2000 მეტიუ სტივენსი
2001 პოლ ჰანტერი
2002 პოლ ჰანტერი
2003 მარკ უილიამსი
2004 პოლ ჰანტერი
2005 რონი ოსალივანი
2006 ჯონ ჰიგინსი
2007 რონი ოსალივანი

# ერთი იყოს, ოღონდ ნაღდი

## ენდი როდიკმა მოგებულმა დაიჩივლა



**კაცები**

**ოკლენდი. ახალი ზელანდია. ჰარდი**

**საპრიზო 464 000 დოლარი**

**ფინალი**

**ფილიპ კოლშრაიბერი (7 გერმანია) — ხუან-კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) 7:6 7:5**

ფილიპ კოლშრაიბერმა წელი მშვენივრად დაიწყო, ჯერ დოჰაში მეოთხედფინალში გავიდა, ახლა კი სეზონში პირველი ტიტულიც მოიპოვა. გერმანელისთვის ეს კარიერაში მოგებული მეორე ტურნირი გახლდათ.

ფინალში კოლშრაიბერმა ხუან-კარლოს ფერერო დაჯაბნა და მსოფლიოს ექს-პირველი ჩოგნის სატიტულო გვალვა კიდევ უფრო გაახანგრძლივა. დიახ, ესპანელს აგერ უკვე ოთხწელიწადნახევარია, კინკილა შეჯიბრზეც არ უმარჯვია და უიღბლო სერია ვერც ამჯერად შეწყვიტა.

შეხვედრა კი საკმაოდ დაძაბული და თანაბარი გამოდგა. გერმანელმა ორივე სეტში მხოლოდ მიწურულისკენ შეძლო მცირე უპირატესობის მოპოვება — პირველ პარტიაში ტაიბრეიკზე იხეირა, მეორეში კი ბოლო გეიმში გააკეთა ბრეიკი და ჰარდზე თავისი პირველი ტურნირიც მოიგო.

**კაცები**

**სიდნეი. ავსტრალი. ჰარდი**

**საპრიზო 465 000 დოლარი**

**ფინალი**

**დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — კრის გუჩიონე ავსტრალია) 7:6 7:6**

სიდნეიში მიჩვეულნი არიან თავისიანების გამარჯვებებს. სხვა თუ არაფერი, მარტო ლეიტონ ჰიუიტს აქ ოთხჯერ უმარჯვია. ოზებს ახლაც ამ ბიჭის ეიმედებოდათ, მაგრამ რაც ლეიტონი კრის გუჩიონემ დაიფრინა, ოზები უკვე ამ უძლიერესი ცაციას მქონე აყლაყუდას შესციცინებდნენ თვალებში.

გუჩიონემაც თავისიანებს იმედები არ გაუცრუა და ჯერ ტომაშ ბერდიხი დააჩოქა, რომელსაც მალე რადეკ შტეპანეკიც მიაყოლა, რითაც 2000 წლის შემდეგ „უაილდ ქარდით" მოწვეული პირველი მეჩოგნე შეიქნა, ფინალს რომ უწია (ბოლოს იგივე ჯასტინ სტოლტენბერგმა გააკეთა).

ჰოდა, აქამდე გავლილი გზის გათვალისწინებით, დმტირი ტურსუნოვი თითქოს რა ბედენა უნდა ყოფილიყო. თუმც რუსმა სწორი ტაქტიკა არჩია და რადგანაც იცოდა, რომ გიჟური მოწოდების მქონე გუჩიონეს ბრეიკს ვერ გაუკეთებდა, აქცენტი საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაზე გადაიტანა. შედეგად, ორივე სეტი ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც სლავს გაცილებით მყარი ნერვული სისტემა აღმოაჩნდა და ორჯერვე მან იხეირა, რითაც მეოთხე საკარიერო ტიტული გაინაღდა.

პოსტსაბჭოთა სივრციდან ტურსუნოვი მხოლოდ მეორე მეჩოგნეა, სიდნეის ცხელ ჰარდზე რომ იმარჯვა. აქ პირველი გამარჯვება ალექსანდრე მეტრეველს ხვდა წილად შორეულ 1972 წელს.

**კაცები**

**კუიონგ კლასიკი. მელბურნი ავსტრალია. ჰარდი**

**ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ) — მარკოს ბაღდატისი კვიპროსი) 7:5 6:3**

ენდი როდიკმა „კუიონგზე" ზედიზედ მესამედ იმარჯვა, თუმც, შარშანდელისგან განსხვავებით, მეტოქე გაცილებით იოლი ჰყავდა — ერთი წლის წინ იანკმა როჯერ ფედერერი ძალიან დაძაბულ ჯახში დასცა, ახლა კი ავსტრალიის ღია პირველობის შარშანწინდელ ფინალისტი მარკოს ბაღდატისი ორ სეტში უპრობლემოდ დაჯაბნა.

როდიკმა ამით მაიკ ჩანგის მიღწევა გაიმეორა, რომელსაც „კუიონგზე" ასევე ზედიზედ სამჯერ ეხეირა. ამ კორტებზე ჰეთ თრიქი ანდრე აგასიმაც შეასრულა, თუმც მან ეს ოთხ წელიწადში შეძლო. ენდი-ბოიმ კი ამ გამარჯვებით განაცხადი გააკეთა იმაზე, რომ სლემტურნირს სრულ მზადყოფნაში ხვდება.

პრობლემა იმაშია, რომ როდიკს მელბურნ-პარკის კორტებზე ასევე წარმატებით თამაში არ გამოსდის. ამიტომაც ამბობდა ნამატჩევს იანკი, აქაურ სამ ტიტულს ავსტრალიის ღია პირველობაზე ერთ გამარჯვებაში სიამოვნებით გავცვლიდიო.

**ქალები**

**სიდნეი ავსტრალია. ჰარდი**

**საპრიზო 600 000 დოლარი**

**ფინალი**

**ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 4:6 6:2 6:4**

სვეტლანა კუზნეცოვა აგერ უკვე მერამდენედ ვერ ახერხებს თითქოსდა წელში მოხრილი ჟუსტინ ენინის საბოლოოდ გატეხვას. ბოლო წლებია, რუსს ჭინკა ბელგიელთან მატჩებში შანსების განიავება ცუდად დასჩემდა — მარტო შარშან კუზნეცოვამ ენინთან სამი ისეთი ფინალი დათმო, რომლებშიც გამარჯვება თავისუფლად შეეძლო.

ახლაც ასე იყო — ჩოგბურთელებმა სეტები გაცვალეს და საქმე გადამწყვეტ პარტიამდე მივიდა. თავიდან უპირატესობა, რა თქმა უნდა, კუზნეცოვამ მოიპოვა, 3:0 დაწინაურდა და მეოთხე გეიმის მოგებამდე ქულა აშორებდა. თუმც ენინმა ანგარიში გაათანაბრა. რუსს კიდევ ჰქონდა მოგების საშუალება, როცა 5:3 დაწინაურება შეეძლო — სვეტლანამ ეს შანსიც ქარს გაატანა. ენინი კი ის მეჩოგნე არ არის, ამდენი შეცდომა ვინმეს აპატიოს და ახლაც ასე მოხდა. ჭინკა ბელგიელმა ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და კარიერაში მე-40 ტიტული მიითვალა.

ენინი ავსტრალიის ღია პირველობას უეჭველი ფავორიტის რანგში ხვდება — მას ხომ ბოლო უიმბლდონის შემდეგ არ წაუგია, მისმა მოგებათა სერიამ კი უკვე 28 შეხვედრას უწია.

**ქალები**

**ჰობარტი. ავსტრალია. ჰარდი**

**საპრიზო 175 000 დოლარი**

**ფინალი**

**ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — ვერა ზვონარიოვა (2, რუსეთი) უარი**

ელენი დანილუდუმ ტიტული კარიერაში ყველაზე ადვილად (სულ მეხუთე) მოიგო. ბერძენს კორტზე გასვლაც არ დასჭირვებია, რადგანაც ვერა ზვონარიოვა დამდეგი სლემტურნირის წინ მცირე ტრავმის გამიზიზებას მოერიდა და ფინალში თამაშზე უარი განაცხადა.

**ქახა ლომაშვილი**



## ვეიქ ან ზეეს სუპერტურნირი

ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია. 11-27 იანვარი

**I ტური**

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 1:0 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| პაველ ელიანოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0:1 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |

# ტოპ-ხალხის ვიშვიში

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი სენსაციურად დაიწყო. მთავარმა ფავორიტებმა ვესელინ ტოპალოვმა და ვიშვანათან ანანდმა პირველივე პარტიები დათმეს და უქულოდ ცხრილის ბოლოში არიან. ბულგარელი ლევონ არონიანთან 62-ე სვლაზე დამარცხდა, ინდუსი კი 20 წლის თეიმურ რაჯაბოვმა 85-ე სვლაზე დაამამათა.

„ეს საშინელება იყო, თავიდან მოსაგები პოზიცია მქონდა, მაგრამ მერე იმდენი შეცდომა დავუშვი, რომ ქულა დავკარგე" - განაცხადა ტოპალოვმა. კარგ ხასიათზე იყო არონიანი, თუმც თავისი თამაშით მთლად კმაყოფილი არ ჩანდა: „დღეს დიდად გამიმართლა, ცაიტნოტში ტოპალოვმა ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და ამით ვისარგებლე. ვეცდები სხვა დროს ასეთ სიტუაციაში აღარ მოვხვდე, თორემ ასე აღარ გამიმართლებს".

მოულოდნელი იყო ვლადიმირ კრამნიკის ყაიმი ლუკ ვან ველთან. ფიდეს რეიტინგის ლიდერმა მასპინძელ დიდოსტატს ქულა 25-ე სვლაზე გაუყო.

„ეს ჩემთვის პრინციპული მატჩი არ იყო და ამიტომაც სუსტად ვითამაშე" - განაცხდა რუსმა. ვან ველი ამ ყაიმს როგორც ჩანს არ ელოდა და პარტიის შემდეგ გახარებული ჩანდა.

„თავიდან შემეშინდა, მაგრამ როცა შევატყე, რომ კრამნიკი არასერიოზულად მეთამაშებოდა, დავმშვიდდი და შეხვედრა მშვიდად ჩავამთავრე".

17 წლის მაგნუს კარლსენმა შავი ფიგურებით შაჰრიარ მამედიაროვი დაამამათა და ახლა მოწინავეთა შორისაა. დებიუტში ვიკინგმა სიცილიური დაცვა გაითამაშა, ხელმწიფის ფლანგზე ორი კუ გამოიყვანა და თეთრებს მიაწვა. მამედიაროვმა ვიკინგის შემოტევა დროებით შეაჩერა და საპასუხოდ ეტლებით დაარტყა, თუმც ვერას გახდა და მე-40 სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

**ლაშა გეგეჭკორი**



მაგნუს კარლსენმა (მარჯვნივ) შავებით მოიგო



## რეგულარული ჩემპიონატი

**11 იანვარი**

**კოლუმბუსი 6:4 სენტ ლუისი**

*2:1 1:1 3:2*

0:1 ბეკსი (8), 1:1 ნეში (13), 2:1 ჰეინსი (18), 3:1 ჩიმერა (28), 3:2 ბოისი (38), 3:3 მაკდონალდი (44), 4:3 ჟერდევი (55), 5:3 ფრიტშე (56), 6:3 ჟერდევი (59), 6:4 მაკლემენტი (60)

**ჩიკაგო 3:5 მინესოტა**

*1:1 1:3 1:1*

1:0 სოპელი (4), 1:1 ფოი (7), 2:1 ბურკი (29), 2:2 გაბორიკი (31), 2:3 ბუშარი (34), 2:4 პერიში (39), 3:4 პავლატი (42), 3:5 გაბორიკი (59)

**კალგარი 4:5 აილენდერსი**

*1:3 3:1 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 სელინჯერი (9), 1:1 ნოლანი (16), 1:2 ჰანტერი (16), 1:3 სილინჯერი (18), 2:3 ნოლანი (22), 3:3 კონროი (22), 4:3 ბოიდი (37), 4:4 ფედოტენკო (38)

**ვანკუვერი 3:4 ფინიქსი**

*1:0 0:3 1:1*

1:0 პაიეტი (9), 1:1 მიულერი (36), 1:2 ჟოვანოვსკი (40), 1:3 იანდლი (40), 2:3 კესლერი (41), 2:4 კაპანენი (44), 3:4 პაიეტი (52)

**12 იანვარი**

**ფილადელფია 3:4 ბოსტონი**

*1:0 0:2 2:1 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 კარტერი (12), 1:1 სავარი (25), 1:2 შტურმი (39), 1:3 შეფერი (45), 2:3 ჰარტნელი (51), 3:3 ბრიარი (53), 3:4 ურდი (61)

**ლოს ანჯელესი 4:3 დალასი**

*2:2 1:0 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 ჰელპერნი (4), 0:2 ერიქსონი(4), 1:2 ფროლოვი (10), 2:2 არმსტრონგი (11), 3:2 კოპიტარი (35), 3:3 ნისკანენი (48)

**ფლორიდა 3:5 ტამპა**

*1:1 0:2 2:2*

1:0 იოკინენი (1), 1:1 ტარნასკი (11), 1:2 პლავაჩი (22), 1:3 ტარნასკი (24), 1:4 რიჩარდსი (50), 2:4 ბუტი (55), 3:4 მაკლინი (59), 3:5 რიჩარდსი (60)

**კოლუმბუსი 2:1 ნეშვილი**

*0:0 0:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 რადულოვი (39), 1:1 კლესლა (51)

**ატლანტა 3:2 პიტსბურგი**

**1:1 0:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)**

0:1 კროსბი (6), 1:1 კოვალჩუკი (10), 1:2 კროსბი (26), 2:2 ჰოლიკი (42)

**კაროლინა 4:5 კოლორადო**

*2:0 2:2 0:3*

1:0 კოული (9), 2:0 ოკოინი (19), 2:1 ჰეიდუკი (21), 3:1 ლაროუზი (24), 3:2 შჩასტნი (31), 4:2 სტილმანი (34), 4:3 მაკლეოდი (51), 4:4 სვატოში (54), 4:5 სვატოში (8)

**ბუფალო 2:3 ნიუ ჯერსი**

*2:0 0:1 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 პეილი (1), 2:0 პეილი (11), 2:1 მარტინი (34), 2:2 კლარკსონი (59)

**ოტავა 3:2 დეტროიტი**

*1:0 1:0 1:2*

1:0 ალფრედსონი (2), 2:0 ფიშერი (24), 2:1 რაფალსკი (48), 2:2 გუდლერი (53), 3:2 ალფრედსონი (58)

**რეინჯერსი 4:1 მონრეალი**

*2:0 2:0 0:1*

1:0 დრური (4), 2:0 სტრაკა (14), 3:0 პრუხა (26), 4:0 დეივსი (40), 4:1 კოსტიცინი (48)

**სან ხოსე 3:2 ტორონტო**

*0:1 0:1 3:0*

0:1 ანტროპოვი (4), 0:2 კუბინა (22), 1:2 მარლო (42), 2:2 რივე (49), 3:2 პაველსკი (51)

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 28 | ქრიუ-ლიდსი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 17:30 | 159 | ლუკეზე-ანკონა | 2.10 | 2.70 | 3.80 | 1.18 | 1.35 | 1.57 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 205 | ბრესტი-ლე ავრი | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 242 | ვეენდამი-როზენდალი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:15 | 68 | სეტუბალი-გიმარაეში | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 69 | სერკლი-ბრიუგე | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 23:30 | 70 | სტანდარდი-გენკი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 360 | ბრიუნესი-ლინჩიოპინგი | 2.15 | 4.10 | 2.30 | 1.41 | 1.11 | 1.47 |
| 21:00 | 361 | აიკ-ტიმრე | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 21:00 | 362 | იურგორდენი-ფრიოლუნდა | 2.10 | 4.10 | 2.40 | 1.38 | 1.12 | 1.51 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 363 | მოდო-მორა | 1.50 | 4.40 | 4.00 | 1.11 | 1.09 | 2.09 |
| 21:00 | 364 | ჰვ 71-სიოდერტელიე | 1.40 | 4.30 | 4.80 | 1.05 | 1.08 | 2.26 |
| 21:00 | 365 | ლულეო-ფერიესტადი | 2.40 | 4.10 | 2.05 | 1.51 | 1.10 | 1.36 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 15:00 | 441 | ავანგარდი-ამური | 1.20 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 19:30 | 442 | სევერსტალი-ხიმიკი | 1.95 | 4.30 | 2.25 | 1.34 | 1.04 | 1.47 |
| 20:00 | 443 | მვდ-დინამო მ | 1.90 | 4.40 | 2.30 | 1.32 | 1.04 | 1.51 |
| 20:00 | 444 | ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 2.30 | 4.30 | 1.85 | 1.49 | 1.02 | 1.29 |
| 18:30 | 445 | ლადა-ცსკა | 2.40 | 4.30 | 1.80 | 1.54 | 1.02 | 1.26 |
| 17:00 | 446 | ტრაქტორი-ლოკომოტივი | 2.30 | 4.00 | 1.85 | 1.46 | 1.02 | 1.26 |
| 17:00 | 447 | სიბირი-მაგნიტოგორსკი | 2.80 | 4.20 | 1.65 | 1.67 | 1.03 | 1.18 |
| 16:00 | 448 | ნოვოკუზნეცკი-ს.იულაევი | 3.50 | 4.40 | 1.45 | 1.94 | 1.02 | 1.09 |
| 20:00 | 449 | სპარტაკი-ვიტიაზი | 1.75 | 4.30 | 2.50 | 1.24 | 1.02 | 1.58 |
| | | **ჩოგბურთი. ქალები. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 12:30 | 959 | მოლიკი-კანეპი | 1.30 | | 2.50 | | | |
| 23:45 | 960 | ბარტოლი-არვიდსონი | 1.10 | | 4.20 | | | |
| 23:45 | 961 | ბაჩინსკი-ფერგიუსონი | 1.10 | | 3.80 | | | |
| 23:45 | 962 | ა ბონდარენკო-კუდრიავცევა | 1.10 | | 3.80 | | | |
| 23:45 | 963 | განტუხოვა-კინგი | 1.03 | | 8.50 | | | |
| 23:45 | 964 | გრენვილი-მიუსბურგერი | 1.60 | | 1.90 | | | |
| 23:45 | 965 | დანილიდუ-გარბინი | 1.25 | | 2.80 | | | |
| 23:45 | 966 | დომახოვსკა-მ იოჰანსონი | 1.20 | | 3.00 | | | |
| 23:45 | 967 | დულკო-ვოზნიაცკი | 1.40 | | 2.20 | | | |
| 23:45 | 968 | ივანოვიჩი-კირსტეა | 1.04 | | 7.50 | | | |
| 23:45 | 969 | კამერინი-უილერი | 1.25 | | 2.70 | | | |
| 23:45 | 970 | კირილენკო-ტუ | 1.10 | | 4.80 | | | |
| 23:45 | 971 | კორნე-კ ფერნანდესი | 1.20 | | 3.10 | | | |
| 23:45 | 972 | კრაიჩეკი-მორიგამი | 1.50 | | 2.10 | | | |
| 23:45 | 973 | კრემერი-ლინეცკაია | 1.40 | | 2.20 | | | |
| 23:45 | 974 | კუზნეცოვა-დეში | 1.04 | | 8.00 | | | |
| 23:45 | 975 | ნ ლი-ბრემონი | 1.05 | | 6.00 | | | |
| 23:45 | 976 | მირზა-ტულიაგანოვა | 1.05 | | 6.00 | | | |
| 23:45 | 977 | პარმენტიე-მიულერი | 1.25 | | 2.90 | | | |
| 23:45 | 978 | პენგი-კლეიბანოვა | 1.25 | | 2.90 | | | |
| 23:45 | 979 | პეტროვა-პრატი | 1.04 | | 8.00 | | | |
| 23:45 | 980 | პინი-ნიკულესკუ | 1.40 | | 2.20 | | | |
| 23:45 | 981 | პირონკოვა-გოვორცოვა | 1.60 | | 1.90 | | | |
| 23:45 | 982 | ა რადვანსკა-სავჩუკი | 1.05 | | 5.00 | | | |
| 23:45 | 983 | ან როდიონოვა-ბახმანი | 1.80 | | 1.80 | | | |
| 23:45 | 984 | რუანო პასკუალი-ვინჩი | 1.50 | | 2.10 | | | |
| 23:45 | 985 | სავაი-მაკაროვა | 1.05 | | 5.00 | | | |
| 23:45 | 986 | სალერნი-კორიტცევა | 1.70 | | 1.80 | | | |
| 23:45 | 987 | საფაროვა-კასტანო | 1.04 | | 8.00 | | | |
| 23:45 | 988 | საფინა-ლისიცკი | 1.03 | | 8.00 | | | |
| 23:45 | 989 | სრებოტნიკი-დომინგეს ლინო | 1.05 | | 5.00 | | | |
| 23:45 | 990 | ვ უილიამსი-იან ზი | 1.05 | | 7.00 | | | |
| 23:45 | 991 | ჩაკვეტაძე-პეტკოვიჩი | 1.04 | | 8.00 | | | |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 992 | ალმაგრო-ჩილიჩი | 1.60 | | 2.00 | | | |
| 23:45 | 993 | ბაგდატისი-ტ იოჰანსონი | 1.20 | | 3.30 | | | |
| 23:45 | 994 | ბერდიხი-ეშოერი | 1.02 | | 8.00 | | | |
| 23:45 | 995 | ჯ ბლეიკი-მასუ | 1.15 | | 3.50 | | | |
| 23:45 | 996 | ბოლელი-რ რამი | 1.50 | | 2.10 | | | |
| 23:45 | 997 | ვერდასკო-ასკიონი | 1.05 | | 4.70 | | | |
| 23:45 | 998 | ფ გონსალესი-ეკონომიდისი | 1.05 | | 7.00 | | | |
| 23:45 | 999 | გროსჟანი-ვოლანდრი | 1.10 | | 4.00 | | | |
| 23:45 | 1000 | გუკსონი-ხ ლი | 1.50 | | 2.10 | | | |
| 23:45 | 1001 | დელიჩი-კენდრიკი | 1.50 | | 2.10 | | | |
| 23:45 | 1002 | დელ პოტრო-ვენტურა | 1.10 | | 4.00 | | | |
| 23:45 | 1003 | ჯოკოვიჩი-ბეკერი | 1.02 | | 8.00 | | | |
| 23:45 | 1004 | ა ჯონსი-მონტანესი | 1.50 | | 2.10 | | | |
| 23:45 | 1005 | ლაცკო-ისტომინი | 1.35 | | 2.40 | | | |
| 23:45 | 1006 | ლუჩაკი-ზაბალეტა | 1.30 | | 2.60 | | | |
| 23:45 | 1007 | ლიუბიჩიჩი-ხაასე | 1.15 | | 3.50 | | | |
| 23:45 | 1008 | მელზერი-ვანეკი | 1.10 | | 4.00 | | | |
| 23:45 | 1009 | ი მინარი-ო ერნანდერი | 1.05 | | 4.70 | | | |
| 23:45 | 1010 | მონაკო-ბერლოკი | 1.05 | | 5.80 | | | |
| 23:45 | 1011 | რასელი-ფოგნინი | 1.25 | | 2.80 | | | |
| 23:45 | 1012 | ო როხუსი-კიურეი | 1.50 | | 2.00 | | | |
| 23:45 | 1013 | სანტორო-ისნერი | 1.40 | | 2.30 | | | |
| 23:45 | 1014 | საფინი-გულბისი | 1.40 | | 2.40 | | | |
| 23:45 | 1015 | ტიპსარევიჩი-სირიანი | 1.35 | | 2.40 | | | |
| 23:45 | 1016 | ტურსუნოვი-მალისი | 1.40 | | 2.20 | | | |
| 23:45 | 1017 | დ ფერერი-როჯერ ვასელინი | 1.02 | | 8.00 | | | |
| 23:45 | 1018 | ფერერო-კიფერი | 1.80 | | 1.80 | | | |
| 23:45 | 1019 | ხიუიტი-დარსისი | 1.05 | | 4.80 | | | |
| 23:45 | 1020 | შტეპანეკი-სპეიდი | 1.15 | | 3.50 | | | |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ერთ ღამეში გადაწყვეტილი კლინსმანი

## ბაიერნი გერმანიის ნაკრებს ემსგავსება

**„ბაიერნის“** მომავალმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ კლუბშიც იმავე მეთოდებს გამოიყენებს, რომლითაც ნაკრებში ხელმძღვანელობდა. მისი ვარჯიშები და ფეხბურთელებთან მიდგომა ყველასგან განსხვავებული იყო. კლინსმანი თითოეული მოთამაშის პიროვნულ თვისებებსა და შესაძლებლობას დაწვრილებით სწავლობს და გუნდს ამის საფუძველზე აშენებს. გასულ პარასკევს მან „ბაიერნთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და საქმეს პირველი ივლისიდან შეუდგება — მას შემდეგ, რაც ოტმარ ჰიცფელდის ხელშეკრულების ვადა ამოიწურება.

„ძალიან მიხარია ყოფილ გუნდში დაბრუნება— თქვა კლინსმანმა — დაახლოებით იგივეს განვიცდი, რასაც ნაკრების მწვრთნელად დანიშვნისას. ნამდვილად დიდი პატივია „ბაიერნის“ თავკაცობა და იმ საქმის გაგრძელება, რაც ნაკრებში დავიწყე. კარლ-ჰაინც რუმენიგე რომ დამიკავშირდა, უზომოდ მესიამოვნა. „ბაიერნი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და როცა ბუნდესლიგაზე საუბრობენ, ნებისმიერს უპირველსად ამ გუნდის სახელი ახსენდება. ჩემს მეუღლეს რომ ვუთხარი, გერმანიაში დაბრუნებაზე თანახმა ხარ თუ არა-მეთქი, უმალ დამთანხმდა. ეს გადაწყვეტილება ორივესთვის მნიშვნელოვანია, რადგან ჩემს სამშობლოში ვიცხოვრებთ“. რაც შეეხება მეთოდებს, იურგენ კლინსმანმა ამის შესახებ განაცხადა: „ჩემი მიზანია, თითოეული ფეხბურთელის განვითარება. სამწვრთნელო შტაბი სათითაო მოთამაშესთან ინდივიდუალურად იმუშავებს და ყოველ წვრილმანს გაარკვევს. უნდა ვიცოდეთ, რისგან „შედგება“ ესა თუ ის ფეხბურთელი, როგორ აზროვნებს ამა თუ იმ მომენტში და რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ასე ვმუშაობდი ეროვნულ გუნდში და „ბაიერნშიც“ ასევე გავაგრძელებ. სასიამოვნოა, რომ კლუბში ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს, რომლებსაც ძალიან კარგად ვიცნობ“.



„ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი მოუთმენლად ელის იურგენ კლინსმანის გამწვრთნელებას. „ნაკრებში მან დაამტკიცა, რომ ორიგინალური, თამამი გადაწყვეტილების მიღება და დამკვიდრებული სავარჯიშო მეთოდების რადიკალურად შეცვლა შეუძლია. ის სუპერთანამედროვე მწვრთნელია და დარწმუნებული ვარ, ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდება. ძალიან გაგვიხარდა, როცა კარლ-ჰაინც რუმენიგემ კლინსმანის დანიშვნის იდეა მოგვაწოდა, მერე კი ის, რომ თანხმობა მივიღეთ“.

„ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰიონესი: „მწვრთნელობა რომ შევთავაზეთ, ერთი ღამე ითხოვა მოსაფიქრებლად და მეორე დღეს დაგვყაბულდა. ჩვენ გვჭირდებოდა კაცი, რომელსაც საკუთარი იდეები და გზა გააჩნია, პროგრესული და ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს სწორ გზაზე დააყენებს. არ მეეჭვება, რომ სწორედ ასეთი კაცი ვიპოვეთ“.

**გაგა ხუციშვილი**

# ლოთარული ბუნდესაზრები

**გერმანიის** ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ლოთარ მათეუსმა იოახიმ ლიოვი „მიწაზე დაუშვა“.

ევრო 2008-ის შესარჩევში მეორე ადგილზე გასული ბუნდესნაკრების მწვრთნელმა ლიოვმა ამას წინათ თქვა, ჩემს გუნდს ევროპის ჩემპიონობა შეუძლიაო, რაზეც მათეუსმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „გულახდილები ვიყოთ, ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონობის ძალიან მცირე შანსი აქვს. დავიწყოთ იმით, რომ შესარჩევში თავიდან ვლიდერობდით და ბოლოს მეორე ადგილზე გავედით. შეხედეთ ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელთა ნუსხასაც — 30 ნომინანტში მხოლოდ ორი გერმანელია და გარდა ამისა, 2006-ში შინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავედით. ამ ფაქტებს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი პრეტენზიები ევროპის ჩემპიონობაზე უსაფუძვლოა“.



ლოთარ მათეუსის აზრით, დღეს გუნდში არ არიან ისეთი ბიჭები, როგორებიც ანდრეას ბრემე, იურგენ კლინსმანი და რუდი ფიოლერი იყვნენ. „პირველ რიგში შედეგების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ — ბრძანა მათეუსმა, რომელიც „ზალცბურგიდან“ შარშან ზაფხულს წავიდა, სადაც ტრაპატონის თანაშემწე იყო — გერმანიის ბოლო ოქროს თაობა ჩვენ ვიყავით და ამიტომაც მოვიგეთ მსოფლიოს ჩემპიონატი. მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელ ნაკრებში პროგრესი შეიმჩნევა, ფეხბურთელებს აკლიათ ის თვისებები, რაც ჩვენ გვქონდა. ახლა გერმანელი მოთამაშეები უცხოურ კლუბებში ვერ ბრწყინავენ, ადრე კი ბრემემ, კლინსმანმა და ფიოლერმა ეს შეძლეს“.

**გაგა ხუციშვილი**

## მიხაილიჩენკომ გააფორმა

**უკრაინის** ნაკრების მწვრთნელად ალექსეი მიხაილიჩენკო დანიშნეს, რომელიც მანამდე ახალგაზრდულში მუშაობდა. უკრაინელთა ყოფილი თავკაცი ოლეგ ბლოხინი ევრო 2008-ის შესარჩევის შემდეგ გადადგა და სამუშაოდ „მოსკვაში“ წავიდა. 44 წლის მიხაილიჩენკომ ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა შემდგომში გახანგრძლივების პერსპექტივით. ფეხბურთელობისას კიევის „დინამოში“ სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1985, 1986 და 1990), ხოლო „სამპდორიაში“ (1991) სერია A მოიგო. კიევის „დინამოს“ მწვრთნელობისას გუნდს ორჯერ (2003, 2004) მოაგებინა უკრაინის ჩემპიონატი, ხოლო ახალგაზრდული ნაკრები ევრო 2006-ზე გაიყვანა.

## პრაქტიკული კროსასი

**„ბარსელონამ“** ნახევარმცველი მარკ კროსასი სეზონის ბოლომდე „ლიონს“ ათხოვა. „მიხარია, რომ ეს ვარიანტი გამოვიდა — თქვა 20 წლის ფეხბურთელმა — „ბარსას“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ძნელია, „ლიონში“ კი მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნება“. კროსასი „ბარსელონაში“ 2005 წლიდანაა და ამ სეზონში რაიკარდმა მხოლოდ სამჯერ ათამაშა.

## ვაჭრობა დრენტეზე

**„ფიორენტინას“** სპორტული დირექტორი პანტალეო კორვინი მადრიდის რეალელ კოლეგას პრედრაგ მიატოვიჩს როისტონ დრენტეზე ევაჭრება. ჰოლანდიელი ნახევარმცველი შარშან ზაფხულს გადავიდა „რეალში“, მაგრამ ვერ გაამართლა. კორვინოს დრენტეს იჯარით წაყვანა სურს სეზონის ბოლომდე, მაგრამ მიატოვიჩი კი გაყიდვას აპირებს და 30 მილიონამდე ევროს ითხოვს.

## ჩვენთან, უეფაში მოდიხარ?

**უეფას** პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ პაოლო მალდინის სამუშაო შესთავაზა. „მილანის“ ლეგენდარული მცველი სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს, მაგრამ უსაქმოდ ალბათ არ დარჩება. მას არაერთხელ უთქვამს, რომ კლუბში გააგრძელებს მუშაობას, თუმც „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, პლატინიმ იტალიელს კონსულტანტის თანამდებობა გაუმზადა.

## ტოტის ოლიმპიური უარი

**იტალიის** ოლიმპიური ნაკრების თავკაცმა პერლუიჯი კაზირაგიმ ფრანჩესკო ტოტის ოლიმპიადაზე დახმარება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. „პეკინში თამაშს არ ვაპირებ. ეროვნული ნაკრები ვიუარე და არასწორი იქნება, თუ ახლა კაზირაგის დავყაბულდები“ — თქვა ტოტიმ.

## ლარსონი გრძნობს

**შვედმა** ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა „ჰელსინგბორგთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა. 36 წლის მეგოლე კვლავაც ითამაშებს შვედეთის ჩემპიონატში, რომელიც მარტში იწყება. „ლარსონი შვებულების დროს ფიქრობდა ჩვენს წინადადებაზე და ძალიან გაგვიხარდა, რომ დარჩენაზე დაგვთანხმდა“ — თქვა კლუბის მეპატრონემ, ხოლო თავდამსხმელმა განაცხადა: „ვგრძნობ, კიდევ ერთი სეზონი შევძლებ უმაღლეს დონეზე თამაშს“.

## ფრიმენი დასწრებაზე

**„არსენალის“** მწვრთნელ არსენ ვენგერს „ჯილინგემიდან“ 15 წლის თავდამსხმელს ლუკ ფრიმენის გადაბირება სურს. „ძალიან მინდა, რომ ეს ტრანსფერი რაც შეიძლება მალე მოგვარდეს — თქვა ფრანგმა — პატარაა, მაგრამ ასაკს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. თუ ჩვენ არ ვიყიდით, სხვა კლუბი დაგვასწრებს“. სავარაუდოდ, ტრანსფერი დღეს შედგება და „ჯილინგემი“ 500 ათას გირვანქას მიიღებს.

## ლუკარელის თურქეთი პარმაშია

**დონეცკის** „შახტარის“ იტალიელი ფორვარდი კრისტიანო ლუკარელი გუნდს თურქეთში შეკრებაზე არ გაჰყვა. უკრაინული მედიის ცნობით, ფეხბურთელი „პარმაში“ გადასვლას აპირებს. იტალიური კლუბი ლუკარელის ნახევარი სეზონით წაიყვანს და „შახტარს“ 2 მილიონ ევროს გადაუხდის. თუ „პარმა“ გამოსყიდვას დააპირებს, ორჯერ მეტის გაღება მოუწევს.

## საუკეთესო ბულგარელი ლონდონელი მამალია

**„ტოტენჰემის“** ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი ბულგარეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. „მამლების“ თავდამსხმელმა ეს ჯილდო მეოთხედ მიიღო 2002, 2004 და 2005 წლების შემდეგ. მეორე ადგილზე „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველი მარტინ პეტროვი გავიდა, მესამეზე კი სოფიის „ლევსკის“ მეკარე გეორგი პეტკოვი. დიმიტარ ბერბატოვის შეძენა პრემიერლიგის რამდენიმე კლუბს სურს, მაგრამ „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა ბრიტანეთისთვის სარეკორდო ფასი — 30 მილიონი გირვანქა“ — დაასახელა.

**გაგა ხუციშვილი**



# ბოდი ლენგვიჯის ამბავში



**ამ ფოტოს** აღწერას აზრი არ აქვს, რაც ხდება გასაგებია: ბედნიერი ადამიანები ცხოვრებით ტკბებიან. ერთი სიტყვით, ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, მათი ვინაობა გაგაცნოთ და ამას დაუზარებლად ვასრულებთ — მამაკაცი „ჩელსის“ რუსი მეპატრონე, კამჩატკის გუბერნატორი რომან აბრამოვიჩია, ქალბატონი კი მისი სატრფო დაშა ჟუკოვა.

აბრამოვიჩი 41 წლისაა, ჟუკოვა — 26-ის. ისინი ლონდონში ცხოვრობენ, თუმცა ბოლოხანს ინგლისის დედაქალაქს წვიმები მისძალებია და ბედნიერი წყვილი იახტით გაერიდა ღრუბელს, ოღონდ... ინგლისში ღრუბელს შეიძლება გაერიდო, პაპარაცებს კი ვერ დაემალები.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩასაფრებულმა ფოტოგრაფებმა აბრამოვიჩი და ჟუკოვა იახტაზე ნებივრობისასაც გადაიღეს, ქუჩებში სეირნობის დროსაც და შემდეგ, ეს სურათები ეგრეთწოდებული „ბოდი ლენგვიჯის“ სპეციალისტს მიუტანეს.

მათთვის, ვინც არ იცის: „ბოდი ლენგვიჯი“ ის დარგია, კაცის მიხრა-მოხრა-გავლა-დგომას რომ შეხედავ და მიხვდები, ულხინს, უჭირს თუ რა ჭკუაზეა.

აბრამოვიჩისა და ჟუკოვას ფოტოების შემთხვევაში „ბოდი ლენგვიჯის“ სპეციალისტი, რომელმაც თავისი კომპეტენტური აზრი თქვა, ამ საქმის დიდოსტატი მო შაპირო გახლდათ, თუმცა, ამჯერად ჩვენი გაზეთის ფართობის მისტერ შაპიროს სტყვებით გადატვირთვა არ ღირს, რადგან ის ისეთს არაფერს არ ამბობს, მე და თქვენ რომ ვერ ვიტყოდით.

**პაპუნა ძედია**



# ბეეეე!

## გასახდელში ჩაქაფული იდგა

**„ბარსელონა“** — „მურსიას“ მატჩის წინა დღეს ედმილსონს თანაგუნდელებმა შავი ცხვარი აჩუქეს. ბრაზილიელი ფეხბურთელი გასახდელში გაოგნებული იდგა, როცა უწყინარი ცხოველის ბლავილი გაიგო. გასული წლის ბოლოს ედმილსონმა ინტერვიუში გაამხილა, რომ გუნდში არეულობაა და ვითარებას „შავი ცხვარი“ ურევს. ამიტომაც გაეხუმრნენ შავად თანაგუნდელები და გასახდელში ოთხფეხი დაახვედრეს.

ორიგინალური საჩუქრები სხვებმაც მიიღეს. კატალონიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ოლეგერ პრესასს დიქტატორ ფრანკოს ბიოგრაფია, ესპანური პატრიოტული სიმღერების კრებული და ნაკრების 23-ნომრიანი მაისურა მიართვეს, რომელსაც მისი გვარი ეწერა. შეგახსენებთ, რომ ოლეგერმა ესპანეთის ნაკ-



რებში თამაში, როგორც კატალონიელმა იუარა და გარდა ამისა, საჯაროდაც არაერთხელ გამოუთქვამს მხარდაჭერა ბასკი ტერორისტების მიმართ.

17 წლის ბოიან კრკიჩს მოსწავლის ფორმა აჩუქეს, სანტი ესკეროს — წიგნი „ჯადოსნური თამაში“, სილვინიოს — დეზოდორანტი, ანრის — საყვარელი საკალათბურთო გუნდ „სან ანტონიოს“ მაისურა, ეტოოს კი — მისი ავტომობილების მინიმოდელები.

**ვაჟა ხუციშვილი**

# როგორ დახარჯავს მილანი 150 მილიონს?

**იტალიურ** პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს მომავალში „მილანი“ „ადიდასთან“ ახალ კონტრაქტს გააფორმებს და დაახლოებით 150 მილიონ ევროსაც მიიღებს. „როსონერი“ ამ ფულს მომავალ ზაფხულში რონალდინიოს, სებასტიან ფრეის, ჯანლუკა ძამბროტასა და ამაურის ტრანსფერებს მოახმარსო...

„მილანის“ მთავარი სამიზნე ისევ რონალდინიო ყოფილა. ბრაზილიელს „ბარსელონაში“ საქმეები კვლავ არეული აქვს და სულაც არ არის გამორიცხული, კლუბი გამოიცვალოს. მით უმეტეს, რომ „როსონერი“ მას დიდი ხანია ეპატიჟება და კარგ კონტრაქტსაც სთავაზობს.

„ბარსაში არც ჯანლუკა ძამბროტას აქვს აწყობილი ცხოვრება და „იუვენტუსის“ ექსმცველი იტალიაში დაბრუნებაზე ფიქრობს.

ნელსონ დიდას სულელური შეცდომებით და არასტაბილურობით დაღლილი „მილანი“ მეკარის ყიდვაზეც საკმაო ხანია ფიქრობს და სებასტიან ფრეიზე კარგი კანდიდატის პოვნა, ალბათ, გაუჭირდება. „ფიორენტინას“ კარის დარაჯი მრავალი წელია, სერია A-ს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გოლკიპერია.

„პალერმოს“ თავდამსხმელ ამაურისთვის კი „მილანს“ „რომასთან“ და „იუვენტუსთან“ მოუწევს შებრძოლება.

ვთქვათ ისიც, რომ „როსონერის“ ასევე უკავშირებენ პარმელ ანდრეა დოსენას, ბაიერნელ ვილი სანიოლს, კატანიელ ნელსონ ვარგასს, ლიონელ კიმ კალსტრიომსა და ზაგრების „დინამოს“ ვარსკვლავ ლუკა მოდრიჩს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბენიტესზე ნაწყენი მომო სისოკო ჯენტლმენთან მიდის



**ინგლისური** „ლივერპულის“ მალელი ნახევარმცველის მოჰამედ სისოკოს „იუვენტუსში“ გადასვლა სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. ახლახან ამ საკითხზე საინტერესო კომენტარები გააკეთეს მერსისაიდელთა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა და თავად სისოკომ.

„გუნდიდან შესაძლო წასვლის შესახებ მომოს რამდენჯერმე ვესაუბრე, ასევე მის აგენტსაც. ვიცით, რომ სისოკოს ორი-სამი რეალური მსურველი ჰყავს და ვეცდებით, მისთვის საუკეთესო გამოსავალი ვიპოვოთ. დიდ გუნდში ყოველთვის დიდი კონკურენციაა. მით უმეტეს, მას მერე, რაც მოვიყვანეთ ლუკას ლეივა, გვყავს სტივენ ჯერარდი, ხაბი ალონსო და ხავიერ მასკარენოც. ასე რომ, სისოკოს სერიოზული კონკურენტები ჰყავს, მაგრამ მას ყველა მატჩში უნდა თამაში და ეს მესმის. მომო ნიჭიერი ფეხბურთელი და კარგი ადამიანია. როგორც უკვე ვთქვი, ვეცდებით, ყველასთვის საუკეთესო გამოსავალი მალე ვიპოვნოთ“ — აღნიშნა ბენიტესმა.

„არავის აქვს პრეტენზია იმაზე, რომ ჯერარდი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია, მაგრამ როცა ბენიტესი ჩემზე წინ მასკერანოსა და ალონსოს აყენებს, რბილად რომ ვთქვათ, ამას ვერ ვიგებ. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „მარსელს“ რომ ვესტუმრეთ, მთელი ჩემი ოჯახი სტადიონზე იყო, მაგრამ მან ერთი წუთითაც არ შემიშვა მინდორზე. ასეთი რაღაცების გულისთვის მინდა „ლივერპულის“ დატოვება და „იუვენტუსში“ გადასვლა — კლაუდიო რანიერი ნამდვილი ჯენტლმენია“ — ეს კი განაწყენებული სისოკოს სიტყვებია.

ტიაგუ მენდეშმა გასულ შაბათს „კატანიასთან“ მატჩიც ჩააგდო. ამიტომ, სავარაუდოა, რომ „იუვენტუსი“, რაც შეიძლება, მალე ეცდება მისი „ტოტენჰემისა“ ან რომელიმე სხვა მსურველისთვის შეხაღებას და სისოკოს ტრანსფერის ბოლომდე მიყვანას.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ინგლისი

## პრემიერლიგა XXII ტური

### ბოლტონი 1:2 ბლექბერნი

1:0 ნოლანი (43), 1:1 სამბა (53), 1:2 რობერტსი (90)
ბოლტონი: იასკელაინენი, მიხალიკი, ჯ. ობრაიენი, ე. ობრაიენი, კამპო (მაკკანი 57), კოენი (ვილჰელმსონი 63), გარდნერი, იანაკოპულოსი, გუტრიე, ნოლანი, დევისი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნელსენი, ოიერი (ხიზანიშვილი 73), სამბა, უორნოკი, ბენტლი, დანი, პედერსენი, რიდი, მაკკარტი (რობერტსი 77), სანტა კრუზი (დერბიშირი 90)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: კამპო, კოენი, სამბა
მსაჯი: დინი
18 315 მაყურებელი

### მანჩესტერი 6:0 ნიუკასლი

1:0 რონალდუ (49), 2:0 ტევესი (55), 3:0 რონალდუ (70), 4:0 ფერდინანდი (85), 5:0 რონალდუ (88), 6:0 ტევესი (90)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ოში, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (სიმპსონი 67), რონალდუ, კარიკი, ანდერსონი (ფლეტჩერი 72), გიგზი (ნანი 72), რუნი, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ნიუკასლი: გივენი, კარი, ტეილორი, კასაპა, ხოსე ენრიკე, მილნერი (ვიდუკა 64), სმიტი, ბათი, ნზოგბია, დაფი, ოუენი (როზენალი 82)
მწვრთნელი: ნაიჯელ პირსონი
გაფრთხილება: რუნი, დაფი
გაძევება: სმიტი (90)
მსაჯი: სტაილზი
75 965 მაყურებელი

### არსენალი 1:1 ბირმინგემი

1:0 ადებაიორი (21), 1:1 ოკონორი (48)
არსენალი: ალმუნია, სანია (დიაბი 83), სენდეროსი, გალასი, კლიში, უოლკოტი (ბენდტნერი 65), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი, ედუარდო
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბირმინგემი: ტეილორი, კელი, რიდგუელი, შმიტცი, ჯედრუ (ბარნაბი 61), ლარსონი, მუამბა, ჯონსონი, კაპო, ოკონორი (ფორსელი 75), ჯერომი (მაკშეფრი 75)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: გლები, კაპო, რიდგუელი
მსაჯი: დოუდი
60 037 მაყურებელი

### ჩელსი 2:0 ტოტენჰემი

1:0 ბელეტი (19), 2:0 რაიტ-ფილიპსი (80)
ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, რ. კარვალიუ, ალექსი, ე. კოული, მალუდა (ბრიჯი 84), მაკელელე, ბალაკი, შ. რაიტ-ფილიპსი (სიდველი 90), ჯ. კოული, კ. პიზარო (ანელკა 58)
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
ტოტენჰემი: ჩერნი, ჩიმბონდა, დოუსონი, კინგი, ლი, ლენონი, ოჰარა (დეფო 77), ბოატენგი (კაბული 84), მალბრანკი (ტაარაბტი 59), ბერბატოვი, კინი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: მაკელელე, ბალაკი, ბოატენგი, მალბრანკი, ოჰარა, ლენონი
მსაჯი: ვაილი
41 777 მაყურებელი

### მიდლსბრო 1:1 ლივერპული

1:0 ბოატენგი (26), 1:1 ტორესი (71)
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, უიტერი, პოგატეცი, გრაუნდსი, ონილი, ბოატენგი, როჩემბაკი, დაუნინგი, ალიადიერი (მაჩინსონი 73), თუნჯაი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, არბელოა (ბაბელი 46), ჯერარდი, მასკერანო, ბენაიუნი (ხაბი ალონსო 59), ფ. ტორესი, ვორონინი (კუიტი 75)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: პოგატეცი, ხაბი ალონსო
მსაჯი: მარინერი
33 035 მაყურებელი

### ევერტონი 1:0 სიტი

1:0 ლესკოტი (31)
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იაგიელკა, ლესკოტი, ნუნო ვალენტე, არტეტა, კარსლი, ფ. ნევილი, მაკფადენი (ვუგანი 60), კეჰილი, ანიჩებე (ბაინსი 90)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
სიტი: ჰარტი, ონუოჰა, რიჩარდსი, დანი, ბოლი, ჩორლუკა, ჰამანი (გელსონი 56), პეტროვი, ელანო, კასტილიო (ბიანკი 57), ვასელი (აირლენდი 69)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
გაფრთხილება: კეჰილი, კარსლი, ჰამანი
მსაჯი: ჰალსი
38 474 მაყურებელი

### ასტონ ვილა 3:1 რედინგი

1:0 კარეუ (22), 2:0 ლაურსენი (55), 3:0 კარეუ (88), 3:1 ჰარპერი (90)
ასტონ ვილა: კარსონი, გარდნერი, ლაურსენი, დევისი, ბუმა, პეტროვი, რეოკერი, ბერი, იანგი (მელოუნი 90), კარეუ (სალიფუ 90), აგბონლაჰორი (ჰარვუდი 90)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
რედინგი: ჰანემანი, მარტი, გუნარსონი, ინგიმარსონი, შორი, დე ლა კრუზი (კონვეი 73), ჰარპერი, სისე, ჰანტი, კიტსონი (ლიტა 76), დოილი (ლონგი 89)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხილება: დე ლა კრუზი, ჰანემანი
მსაჯი: რენიე
32 288 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 2:1 ფულემი

0:1 კ. დევისი (8), 1:1 ეშტონი (28), 2:1 ფერდინანდი (69)
ვესტ ჰემი: გრინი, სპექტორი, ე. ფერდინანდი, აპსონი, მაკკარტნი, ლიუნგბერგი (ფობერი 89), მალინსი, ნობლი, ეზერინგტონი (ბოიერი 89), ეშტონი, კ. კოული (ბოა მორტე 65)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ფულემი: ნიემი, ბაირდი, სტეფანოვიჩი, ბოკანეგრა (ჰიუზი 14), კონჩესკი, ვოლცი (ბალარდი 77), შ. დევისი, მერფი, კ. დევისი, ჰილი (სმერტინი 78), დემპსი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
გაფრთხილება: კონჩესკი
მსაჯი: რაილი
34 947 მაყურებელი

### სანდერლენდი 2:0 პორტსმუთი

1:0, 2:0 რიჩარდსონი (33, 44)
სანდერლენდი: გორდონი, კოლინზი, ევანსი (მაკშეინი 77), ნოსვორთი, მილერი, რიჩარდსონი, უიტეჰედი, იორკი, ჯონსი (ოდონოვანი 83), მერფი, სტოკსი (ლიდბიტერი 73)
მწვრთნელი: როი კინი
პორტსმუთი: ჯეიმსი, დისტინი (ტრაორე 90), კემპბელი, პრეიდარსონი, პამარო, ჰიუზი, კრანჩარი, მვუემბა (სონგო 65), პ. მენდეში, მვარუვარი, ნაჯენტი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: მენდეში, კოლინზი, რიჩარდსონი, იორკი
მსაჯი: ფოი
37 369 მაყურებელი

### დერბი 0:1 უიგანი

0:1 სიბიერსკი (82)
დერბი: პრაისი, მირსი, დევისი, ტოდი, მილსი, ფაგანი, სევიჯი, ჯალი (მაკევნი 85), რობერი (ედვორთი 59), ვილა (ტილი 71), ბერნსი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბრამბლი, ბოისი, კილბეინი, ვალენსია, ბრაუნი, პალასიოსი (კუმასი 64), ლანძაატი (სიბიერსკი 81), ჰესკი, მ. ბენტი (ოლემბე 90)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: დევისი, დევისი, ბრაუნი, ბოისი
გაძევება: დევისი (58)
მსაჯი: კლატენბურგი
31 658 მაყურებელი



სტივენ კარისა და პატრის ევრას ფრიად სახიფათო შეჯახება

# დასასრული იქნება? კრიშტიანუ რონალდუ ექვსის ნახევარია

**მანჩესტერულ** კარიერაში კრიშტიანუ რონალდუმ პირველი ჰეთ თრიქი მიითვალა. პორტუგალიელს აქამდე 14-ჯერ გაეტანა ერთ მატჩში წყვილი გოლი და სამამდე ვერ უწევდა. „ნიუკასლთან" გაასამა, ალექს ფერგიუსონს კი ათქმევინა: „მის აღმასვლას დასასრული აღარ უჩანს". რონალდუმ ამ სეზონში გოლების რაოდენობა 22-მდე გაზარდა, ხოლო „მანჩესტერმა" „არსენალის" ფრით ის-არგებლა და პირველ ადგილზე გადაბრძანდა.

ნიუკასლელმა მაიკლ ოუენმა მასპინძლებს შესვენებამდე გაუტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო გაუუქმა. ნამატჩევს გაირკვა, რომ არბიტრი შეცდა. დროებითი მწვრთნელის ნაიჯელ პირსონის ხელში სტუმრებმა ერთი ტაიმი გაუძლეს მანჩესტერელებს, მეორეში კი ექვსი გოლი გაუშვეს. რონალდუმ საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში — ბურთი ამხტარი „კედლის" ქვეშ გააძვრინა. მეორე ტევესმა მიაყოლა შეი გივენის შეცდომის შემდეგ, მესამე კი ისევ პორტუგალიელმა შეაგდო ტევესის პასით. ამის მერე გასატანად რიო ფერდინანდმაც მოიცალა, რომელმაც რუნის პასი შეირგო, ხოლო რონალდუმ და ტევესმა ბოლო ორ წუთში კიდევ თითო-თითო მიითვალეს. არგენტინელის გოლის (ბურთი კარის ხაზის შიგნით დაეცა და გამოვარდა) ალან სმიტმა გააპროტესტა, რაც წითელ ბარათად დაუჯდა.

„ბირმინგემთან" ფრის გამო „არსენალმა" ლიდერობა დაკარგა, ხოლო არსენ ვენგერი გაბრაზდა. ფრანგმა თქვა, რომ მისმა ფეხბურთელებმა მეტოქე სათანადოდ არ შეაფასეს. ედუარდოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ადებაიორმა გამოიყენა და სეზონში მე-13 გოლი მიიწერა. ბირმინგემელმა ოკონორმა კი მეორე ტაიმში ნაკუთხურალზე იხეირა — მისი თავურის შემდეგ ბურთი ფაბრეგასს მოხვდა და კარში შევარდა.

დროგბას, ესიენის და კალუს გარეშე დარჩენილმა „ჩელსიმ" დერბიში „ტოტენჰემი" დაამარცხა და ლიდერებს ოთხი ქულითღა ჩამორჩება. ჟულიანო ბელეტიმ დახლოების 30 მეტრიდან გაიტანა, როცა სტუმრები გასათანაბრებლად მეტოქის საჯარიმოს აწყდებოდნენ. პარასკევს „ბოლტონიდან" „ჩელსიში" გადასულმა ნიკოლა ანელკამ შეცვლაზე ითამაშა და ფანებს თავი იმით დაამახსოვრა, რომ ბურთი ძელს გაარტყა.

ზედიზედ მესამე ტურში ვერ მოიგო „ლივერპულმა", მაგრამ ფერნანდო ტორესის გოლის წყალობით მიდლსბროდან ქულა წაიღო და მეოთხე ადგილი შეინარჩუნა. ჯორჯ ბოატენგმა კოხტა კომბინაციის შედეგად სეზონში პირველი გოლი შეაგდო და მასპინძლები დააწინაურა, ხოლო ტორესმა 25 მეტრიდან გაათანაბრა. მატჩის ბოლო წუთზე „ლივერპულს" ორი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მეკარე მარკ შვარცერმა იყოჩაღა.

„ევერტონმა" „სიტის" ჯოლეონ ლესკოტის გოლით მოუგო, რომელმაც შუა კვირაში სათასო მატჩში „ჩელსისთან" საკუთარ კარში გაიტანა და მისი გუნდი ამის გამო დამარცხდა. ლესკოტმა ორი მეტრიდან მეკარეს ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი და ამით ჩელსური „დანაშაული" გამოისყიდა.

„ასტონ ვილას" დანიელმა მარტინ ლაურსენმა ერთი საგოლე პასი მიითვალა, ერთიც თავად გაიტანა, ხოლო კარეუმ დუბლი შეასრულა „რედინგთან" და ბირმინგემულმა კლუბმა მეექვსე საფეხურს უწია.

კვირას „სანდერლენდმა" ექსმანჩესტერელი კირონ რიჩარდსონის უპასუხო დუბლით „პორტსმუთი" დასცა, ხოლო „ბლექბერნს" ბოლტონიდან სამი ქულა ერთობ ეგზოტიკური ქვეყნის შვილმა — გრენადელმა ჯეისონ რობერტსმა წამოაღებინა, რომელმაც მასპინძლებს გადამწყვეტი გოლი ბოლო წამებზე გაუტანა. ზურაბ ხიზანიშვილმა ამ მატჩის დასკვნითი 17 წუთი ითამაშა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 22 | 16 | 3 | 3 | 44:11 | 51 |
| არსენალი | 22 | 15 | 6 | 1 | 43:17 | 51 |
| ჩელსი | 22 | 14 | 5 | 3 | 35:16 | 47 |
| ლივერპული | 21 | 10 | 9 | 2 | 35:14 | 39 |
| ევერტონი | 22 | 12 | 3 | 7 | 38:22 | 39 |
| ასტონ ვილა | 22 | 11 | 6 | 5 | 40:28 | 39 |
| სიტი | 22 | 11 | 6 | 5 | 29:23 | 39 |
| ბლექბერნი | 22 | 10 | 6 | 6 | 30:29 | 36 |
| პორტსმუთი | 22 | 9 | 7 | 6 | 31:22 | 34 |
| ვესტ ჰემი | 21 | 9 | 5 | 7 | 27:20 | 32 |
| ნიუკასლი | 22 | 7 | 5 | 10 | 27:39 | 26 |
| ტოტენჰემი | 22 | 6 | 6 | 10 | 42:40 | 24 |
| რედინგი | 22 | 6 | 4 | 12 | 30:47 | 22 |
| მიდლსბრო | 22 | 5 | 6 | 11 | 19:36 | 21 |
| ბოლტონი | 22 | 5 | 5 | 12 | 24:34 | 20 |
| ბირმინგემი | 22 | 5 | 5 | 12 | 23:33 | 20 |
| უიგანი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:37 | 20 |
| სანდერლენდი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:40 | 20 |
| ფულემი | 22 | 2 | 9 | 11 | 23:39 | 15 |
| დერბი | 22 | 1 | 4 | 17 | 10:47 | 7 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდუ (მანჩესტერი) | 16 |
| ადებაიორი (არსენალი) | 13 |
| ტორესი (ლივერპული) | 11 |
| ანელკა (ბოლტონი/ჩელსი) | 10 |
| კინი (ტოტენჰემი) | 10 |
| სანტა კრუზი (ბლექბერნი) | 10 |
| ტევესი (მანჩესტერი) | 10 |

### XXIII ტური

19 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | ჩელსი |
| ბლექბერნი | : | მიდლსბრო |
| ფულემი | : | არსენალი |
| ლივერპული | : | ასტონ ვილა |
| სიტი | : | ევერტონი |
| ნიუკასლი | : | ბოლტონი |
| პორტსმუთი | : | დერბი |
| რედინგი | : | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | : | სანდერლენდი |
| უიგანი | : | ევერტონი |

### ჩემპიონატი. XXVII ტური

ბარნსლი — ნორვიჩი 1:3; ბრისტოლი — კოლჩესტერი 1:1; ბარნლი — პლიმუთი 1:0; კარდიფი — უენსდი 1:0; ჩარლტონი — ბლექპული 4:1; იფსვიჩი — სტოკი 1:1; ლესტერი — ქოვენთრი 2:0; პრესტონი — უოტფორდი 1:0; შეფილდი — ქუინზ პარკი 2:1; საუთჰემპტონი — სკანთორპი 1:0; ვულვზი — კრ. პალასი 0:3; ჰალი — ვესტ ბრომვიჩი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 15 | 5 | 7 | 59:32 | 50 |
| ბრისტოლი | 27 | 13 | 9 | 5 | 35:32 | 48 |
| უოტფორდი | 27 | 14 | 5 | 8 | 44:35 | 47 |
| სტოკი | 27 | 11 | 11 | 5 | 43:34 | 44 |
| ჩარლტონი | 27 | 12 | 7 | 8 | 40:32 | 43 |
| კრ. პალასი | 27 | 10 | 11 | 6 | 34:27 | 41 |
| იფსვიჩი | 27 | 11 | 7 | 9 | 44:36 | 40 |
| კარდიფი | 27 | 10 | 9 | 8 | 34:32 | 39 |
| პლიმუთი | 27 | 10 | 8 | 9 | 35:30 | 38 |
| ჰალი | 27 | 10 | 8 | 9 | 33:32 | 38 |
| ბარნლი | 27 | 9 | 10 | 8 | 34:35 | 37 |
| ვულვზი | 27 | 9 | 10 | 8 | 24:26 | 37 |
| საუთჰემპტონი | 27 | 10 | 6 | 11 | 36:44 | 36 |
| შეფილდი | 27 | 9 | 8 | 10 | 31:31 | 35 |
| ბარნსლი | 27 | 8 | 10 | 9 | 34:39 | 34 |
| ბლექპული | 27 | 8 | 9 | 10 | 35:35 | 33 |
| ქოვენთრი | 26 | 9 | 5 | 12 | 29:42 | 32 |
| ნორვიჩი | 27 | 8 | 7 | 12 | 27:35 | 31 |
| ლესტერი | 27 | 6 | 12 | 9 | 27:27 | 30 |
| ქუინზ პარკი | 27 | 7 | 9 | 11 | 31:40 | 30 |
| უენსდი | 26 | 8 | 4 | 14 | 28:34 | 28 |
| პრესტონი | 27 | 7 | 6 | 14 | 26:33 | 27 |
| სკანთორპი | 27 | 6 | 9 | 12 | 28:41 | 27 |
| კოლჩესტერი | 27 | 5 | 11 | 11 | 39:46 | 26 |

### I ლიგა. XXVI ტური

ტრანმერი — როვერსი 0:2; ჩელტენემი — ბორნმუთი 1:0; დონკასტერი — კარლაილი 1:0; ჰადერსფილდი — ჯილინგემი 1:3; ლუტონი — სუონსი 1:3; ნორთჰემპტონი — ჰარტლპული 1:1; ნოტინგემი — ლეიტონი 4:0; ოლდემი — ბრაიტონი 1:1; პორტ ვეილი — მილუოლი 3:1; საუთენდი — იოვილი 1:1; უოლსოლი — სუინდონი 2:2. ქრიუ — ლიდსი დღეს გაიმართება

### II ლიგა. XXVI ტური

ბრედფორდი — ნოტსი 3:0; ბრენტფორდი — ჩესტერფილდი 2:1; ჩესტერი — მანსფილდი 0:1; დარლინგტონი — ბერი 3:0; გრიმსბი — რექსემი 1:0; ლინკოლნი — როტერჰემი 1:3; დონსი — ბარნეტი 0:1; მორკემბი — დაგენემი 1:0; პიტერბორო — მაკლსფილდი 0:1; სტოკპორტი — აკრინგტონი 2:0; უიკომბი — როჩდეილი 0:1; ჰერეფორდი — შრუსბერი 3:1

### კონფერენსლიგა გადადებული მატჩი

სოლისბერი 3:1 ოქსფორდი

# იტალიის ფრონტზე ცვლილებები არ არის


ახალბრაზილიური წყვილი: რონალდოს დუბლს პატოს სადებიუტო ...

## იტალია

### სერია A
### XVIII ტური

**მილანი 5:2 ნაპოლი**

1:0 რონალდო (15), 1:1 სოსა (28), 2:1 ზეედორფი (31), 2:2 დომიცი (38პ), 3:2 რონალდო (46), 4:2 კაკა (68), 5:2 პატო (74)
მილანი: დიდა, ბონერა, ნესტა, კალაძე, მალდინი (ფავალი 46), ამბროზინი, პირლო (გურკუფი 81), ზეედორფი, კაკა, პატო, რონალდო (ემერსონი 69)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ნაპოლი: იეცო, კუპი, პ. კანავარო, დომიცი, გარიკსი, ჰამსიკი (დალა ბონა 75), გარგანო, ბოლიაჩინო (მონტერვინო 60), სავინი (კაპარელა 71), ლავეცი, სოსა
მწვრთნელი: ედუარდო რეხა
გაფრთხილება: პირლო, გარგანო, დომიცი, გარგანო
გაძევება: გარგანო (90)
მსაჯი: როზეტი
70 000 მაყურებელი

**სიენა 2:3 ინტერი**

0:1 იბრაჰიმოვიჩი (26პ), 1:1 კორდობა (31ს.კ.), 1:2 კამბიასო (45), 1:3 იბრაჰიმოვიჩი (52), 2:3 ფორესტიერი (90)
სიენა: მანინგერი, ბერტოტო, პორტანოვა, ლორია, დე ჩელიე, ვერგასოლა, კოდრია (ფორესტიერი 75), გალოპა, ლოკატელი (ალბერტო 83), მაკარონე, ფრიკი (კორვია 46)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი (სტანკოვიჩი 46), კორდობა, მატერაცი, მაქსველი (ბურდისო 83), ხ. ძანეტი, კამბიასო, კივუ, ლ. ხიმენესი (პელე 73), იბრაჰიმოვიჩი, კრუზი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: გალოპა, ჟულიო სეზარი, კივუ
მსაჯი: ჟირარდი
20 000 მაყურებელი

**ატალანტა 1:2 რომა**

1:0 ფერეირა პინტუ (17), 1:1 ტოტი (38), 1:2 მანსინი (45)
ატალანტა: კოპოლა, ბელერი, კაროციერი, კაპელი, ბელინი, ფერეირა პინტუ, ტისონე, დე აშენტისი (მუსლიმოვიჩი 46), გუარენტე (დეფენდი 77), ლანჯელა (პადოინი 66), ფლოკარი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
რომა: ა. დონი, პანუჩი, მექსეში, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო (აკვილანი 90), ტადეი, პეროტა (ბრიგი 84), მანსინი (სისინიო 88), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: კაროციერი, პანუჩი, გუარენტე, ლანჯელა, მექსეში, დონი, ტონეტო, აკვილანი
მსაჯი: საკანი
12 000 მაყურებელი

**კატანია 1:1 იუვენტუსი**

1:0 სპინეზი (15), 1:1 დელ პიერო (90პ)
კატანია: პოლიტო, სილვესტრი, ტერლიცი, სტოვინი, ვარგასი, ედუსეი, იცკო, ბიაჯანტი, კოლუჩი (ხ. მარტინესი 77), მასკარა, სპინეზი (ტედესკო 88)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
იუვენტუსი: ბუფონი, სალიჰამიჯიჩი (იაკვინტა 81), ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, ნოჩერინო, კ. ძანეტი, ნედვედი (პალადინო 75), ტიაგუ (მარკიონი 46), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: იცკო, სტოვინი, კიელინი, ტერლიცი, სალიჰამიჯიჩი, ნოჩერინო
მსაჯი: როკი
20 000 მაყურებელი

**პარმა 1:2 ფიორენტინა**

0:1 მუტუ (43), 1:1 კოლი (69), 1:2 მუტუ (85პ)
პარმა: ბუჩი, კოლი, ფალკონე (ფ. კოუტუ 10), პაჩი, ძენონი, მორონე, ჩიგარინი, კასტელინი (გასბარონი 54), რეჯინალდო, პიზანუ (მარიგა 69), კორადი
მწვრთნელი: დომენიკო დი კარლო
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, კროლდრუპი, გამბერინი, პასკუალი, დონადელი, ლივერანი (იორგენსენი 62), მონტოლივო (გობი 68), სანტანა, ვიერი, მუტუ (კუზმანოვიჩი 90)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
მსაჯი: ბრიგი
15 162 მაყურებელი

**კალიარი 0:1 უდინეზე**

0:1 კვალიარელა (32)
კალიარი: სტორარი, ლოპესი, ბიზერა (აკვაფრესკა 46), ბიანკო, აგოსტინი, ბიონდინი (ფინი 70), კონტი, პაროლა, ფოჯა, ჯედა, მატრი (ლარივეი 61)
მწვრთნელი: დავიდე ბალარდინი
უდინეზე: ჰანდანოვიჩი, საპატა, ფელიპე, ლუკოვიჩი, მესტო, დაგოსტინო, ინლერი, დოსენა, პეპე (კოდა 54), კვალიარელა, დი ნატალე (ფლორო ფლორესი 84)
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: ფელიპე ფელიპე ლოპესი, ბიანკო, კონტი, ინლერი, ლარივეი
გაძევება: ფელიპე (29), ლარივეი (89)
მსაჯი: ბერგონცი
6 500 მაყურებელი

**სამპდორია 3:0 პალერმო**

1:0 ბელუჩი (20), 2:0 სამარკო (45), 3:0 კასანო (77)
სამპდორია: კასტელაცი, კამპანარო, აკარდი (სალა 80), გასტალდელო, მაჯო, ფრანჩესკინი, პალომბო, სამარკო, პიერი (ციგლერი 86), ბელუჩი, კასანო (ბონაცოლი 82)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
პალერმო: ფონტანა, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა, კაპუანო, გუანა, მილიაჩო (ბრეშიანო 65), სიმპლისიო, კავანი (ბრიენცა 65), ამაური, მიკოლი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ამაური, ბიავა, კავანი, გუანა
მსაჯი: ბანტი
22 000 მაყურებელი

**ლაციო 1:2 ჯენოა**

1:0 მაური (26), 1:1, 1:2 ბორიელო (51პ, 55)
ლაციო: ბალოტა, სკალონი (დელ ნერო 69), სტენდარდო, კრიბარი, ძაური, ბეჰრამი (კოლაროვი 90), მუტარელი, ბარონიო, მაური, პანდევი, როკი (ტარე 41)
მწვრთნელი: დელიო როსი
ჯენოა: რუბინიო, ბოვო, დე როზა, კრიშიტო, როსი, მილანეტო (მაზიელო 86), კონკო, იურიჩი, ლეონი (პარო 67), ბორიელო, სკული (სანტოსი 58)
მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი
გაფრთხილება: მუტარელი, პანდევი, იურიჩი
მსაჯი: სტეფანინი
15 000 მაყურებელი

**ტორინო 1:2 ლივორნო**

0:1, 0:2 ტავანო (21, 45), 1:2 ბოტონე (78)
ტორინო: სერენი, კომოტო, ნატალი, დელაფიორე, ლანა, პ. ძანეტი (ბოტონე 37), კორინი (ლაზეტიჩი 49), ბარონე, რეკობა, დი მიკელე, ბიელანოვიჩი (ოგუ-რო 73)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ლივორნო: ამელია, გრანდონი, კნეჟევიცი, გალანტე, ბალერი, ვიდიგალი, დე ვეცე, ბერგვოლდი (ჯანიკედა 17; ე. ფილიპინი 37), პასკუალე, ტავანო, ტრისტანი (ბოგდანი 90)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ბიელანოვიჩი, რეკობა, ლაზეტიჩი, დელაფიორე
მსაჯი: აიროლდი
11 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:1 რეჯინა**

0:1 კერავოლო (2), 1:1 საუდატი (53)
ემპოლი: ბალი, რაჯი, ვანილი (აბატე 46), მარცორატი, ანტონინი, ბუშე, მარიანინი, ჯაკომაცი (ტოსტო 67), ჯოვინკო (პოცი 73), ვანუკი, საუდატი
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
რეჯინა: კამპანოლო, ლანძარო, ვალდესი, ჩირილო, ვიჯანი, კაზირონე (ტონიოცი 72), ბარეტო, კოცა, მოდესტო, მისიროლი, კერავოლო (სტუანი 60)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: კაზირონე, კოცა, ჯოვინკო, ჯაკომაცი, კამპანოლო, ტონიოცი
მსაჯი: დონდარინი
5 000 მაყურებელი

**ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**

„ინტერს“ „სიენასთან“ რის ვაივაგლახითა და კაცმა რომ თქვას, ცოტა საეჭვოდაც გაამარჯვებინა, თუმცა ამ შედეგის წყალობით ძალიან შორსაც ვერ წავიდა, რადგან „რომამ“, „უდინეზემ“, „ფიორენტინამ“ და სხვა კონკურენტებმაც გაიმარჯვეს. რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ჯენოამ“ „ლაციო“ დასცა...

თუმცა, მოდი, ყველაფერს თანმიმდევრულად მოვყვეთ: „ინტერის“ ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება „სიენას“ გვარიანი წინააღმდეგობისა და ორი საკამათო ეპიზოდისგან შედგებოდა. ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ, რომ სიენა ის ქალაქია, სადაც მილანელმა შავ-ლურჯებმა 2007 წელს გაიფორმეს ჩემპიონობა. „ინტერს“ ტრავმათა გამო არ ჰყავდა ვალტერ სამუელი, ოლივიე დაკური, ლუიშ ფიგუ, პატრიკ ვიეირა, ფრანჩესკო ტოლდო და დავიდ სუასო, „სიენა“ კი ის გუნდია, მიმდინარე სეზონში შინ მხოლოდ ორჯერ რომ დამარცხდა.

ერთი სიტყვით, დაიწყო თამაში და გამოჩნდა, რომ „ინტერს“ მასპინძელთა კარისკენ გზების პოვნა უჭირს, მაგრამ დადგა 26-ე წუთი და ხულიო კრუზისა და პაულ კოდრეას შეჯახება მსაჯმა ჟირარდიმ პენალტად შეაფასა. პირველად ამაზე გადაირია „სიენა“, მაგრამ იბრაჰიმოვიჩმა მეკარე მანინგერს, რომელმაც მისი დარტყმული კინაღამ მოიგერია, მაინც გაუტანა.

მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებიათ, მალევე აღადგინეს წონასწორობა: მარიო ფრიკმა ტომას ლოკატელის ჩაწოდებული ბურთი შორეულ ძელთან გადაგზავნა, რომლისკენაც სტუმართაგან ივან კორდობა, ხოლო მასპინძელთაგან მასიმო მაკარონე გაფრინდნენ და... ბურთს ბოლო კორდობა შეეხო.

უნდა ითქვას, რომ ტოსკანელები „ინტერს“ ამის მერეც ყოჩაღად უტევდნენ, მაგრამ შესვენებაზე უპირატესობით მაინც იტალიის ჩემპიონი გავიდა — მასპინძლებმა ბურთი ხეირიანად ვერ გამოიტანეს თავიანთი საჯარიმოდან და იბრაჰიმოვიჩმა ესტებან კამბიასოს შეაგდებინა, ოღონდ... ამ გოლმაც პროტესტი გამოიწვია, მასპინძლები მანამდე კრუზის მიერ წესის დარღვევას ჩიოდნენ.

შემდეგ, იბრაჰიმოვიჩმა მესამე შეაგდო, თან ეფექტურად, მსაჯის წამატებულ დროში კი ფორესტიერიმ სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა.

„ფიორენტინამ“ პარმაში მოიპოვა ფრიად მნიშვნელოვანი გამარჯვება. უნდა აღინიშნოს, რომ კრისტიან ვიერისთან თავით შეჯახების გამო მასპინძლებს მე-10 წუთზევე დაუშავდათ და გამოსაცვლელი გაუხდათ ჯულიო ფალკონე. კიდევ, სათქმელია ისიც, რომ ამ შეხვედრის პირველი მონაკვეთი გაცილებით ეფექტური და მოვლენებით დახუნძლული გახლდათ, ვიდრე შემდეგი ნაწილი.

„უდინეზემ“ სარდინიაზე „კალიარისთან“ მოიგო, რაც განსაკუთრებით იმიტომ გახლდათ დასაფასებელი, რომ სტუმრები თითქმის ერთ საათზე მეტხანს ათი კაცით თამაშობდნენ — დიას ფელიპემ 30 წუთში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო. ფეხბურთელების რაოდენობით „კალიარი“ სტუმრებს სულ ბოლო წუთს დაეწია, როდესაც ჯოაკინ ლარივეიმ ჯერ ყვითელი მიიღო, ხოლო შემდეგ მსაჯს ირონიულად გაემანჭა და გაწითლდა. ცნობისთვის: ეს იყო დამარცხებულთა ახალი მწვრთნელის დავიდე ბალარდინის პირველი მატჩი თანამდებობაზე.

შაბათს, სიცილიაზე, „კატანიას“ „იუვენტუსმა“ ბოლოწამს, პენალტითღა გაუთანაბრა ანგარიში.

აი, „მილანმა“ კი ნავსი გატეხა — ტრავმების სერიის შემდეგ დაბრუნებულ რონალდოს კარლო ანჩელოტისგან სასტარტო შემადგენლობა ერგო და „ილ ფენომენომ“ დამრიგებელს არ უღალატა, რასაც „როსონერის“ სეზონში პირველი საშინაო გამარჯვებაც ერგო. სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა წყვილი გოლი გაიტანა, მისმა თანამემამულემ და ახალმა მეწყვილე ალეშანდრე პატომ კი მწვრთნელს ნდობა ოდნავ მოკრძალებულად — კინკილა გოლით გადაუხადა.

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 18 | 14 | 4 | 0 | 40:11 | 46 |
| რომა | 18 | 11 | 6 | 1 | 35:19 | 39 |
| იუვენტუსი | 18 | 10 | 6 | 2 | 36:16 | 36 |
| უდინეზე | 18 | 9 | 5 | 4 | 23:21 | 32 |
| ფიორენტინა | 18 | 8 | 7 | 3 | 28:17 | 31 |
| პალერმო | 18 | 6 | 7 | 5 | 25:30 | 25 |
| სამპდორია | 18 | 7 | 3 | 8 | 25:24 | 24 |
| ნაპოლი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:27 | 23 |
| ატალანტა | 17 | 5 | 7 | 5 | 24:23 | 22 |
| კატანია | 18 | 5 | 7 | 6 | 18:20 | 22 |
| ჯენოა | 18 | 5 | 7 | 6 | 18:24 | 22 |
| მილანი | 15 | 5 | 6 | 4 | 26:14 | 21 |
| პარმა | 18 | 4 | 6 | 8 | 20:26 | 18 |
| ლივორნო | 17 | 4 | 6 | 7 | 21:28 | 18 |
| ლაციო | 18 | 4 | 6 | 8 | 20:27 | 18 |
| ტორინო | 18 | 2 | 11 | 5 | 16:22 | 17 |
| ემპოლი | 18 | 3 | 7 | 8 | 15:25 | 16 |
| სიენა | 18 | 2 | 8 | 8 | 19:28 | 14 |
| რეჯინა | 17 | 2 | 8 | 7 | 13:26 | 14 |
| კალიარი | 18 | 2 | 4 | 12 | 13:34 | 10 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 13 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 11 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 11 |
| ბორიელო (ჯენოა) | 10 |
| კრუზი (ინტერი) | 10 |
| ტოტი (რომა) | 10 |
| ბელუჩი (სამპდორია) | 9 |
| კაკა (მილანი) | 8 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 8 |
| ტავანო (ლივორნო) | 8 |

**XIX ტური**
20 იანვარი

ფიორენტინა : ტორინო
ჯენოა : ატალანტა
ინტერი : პარმა
იუვენტუსი : სამპდორია
ლივორნო : ემპოლი
ნაპოლი : ლაციო
პალერმო : სიენა
რეჯინა : კალიარი
რომა : კატანია
უდინეზე : მილანი

### სერია B
**XX ტური**

ასკოლი — მოდენა 1:1; აველინო — ბარი 3:2; ბოლონია — მანტოვა 3:0; კიევო — გროსეტო 2:0; ფროზინონე — ბრეშა 0:0; ლეჩე — მესინა 0:0; პიაჩენცა — ჩეზენა 0:0; რავენა — ვიჩენცა 0:1; რიმინი — ალბინოლეფე 0:0; სპეცია — პიზა 1:4; ტრევიზო — ტრიესტინა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლონია | 20 | 12 | 6 | 2 | 26:9 | 42 |
| პიზა | 20 | 12 | 5 | 3 | 35:25 | 41 |
| კიევო | 20 | 12 | 4 | 4 | 36:23 | 40 |
| ლეჩე | 20 | 11 | 6 | 3 | 31:13 | 39 |
| ალბინოლეფე | 20 | 11 | 5 | 4 | 31:18 | 38 |
| მანტოვა | 20 | 10 | 4 | 6 | 31:22 | 34 |
| ბრეშა | 19 | 10 | 4 | 5 | 27:18 | 34 |
| რიმინი | 20 | 8 | 6 | 6 | 27:21 | 30 |
| მესინა | 20 | 8 | 5 | 7 | 17:23 | 29 |
| მოდენა | 20 | 7 | 6 | 7 | 28:25 | 27 |
| ფროზინონე | 20 | 7 | 6 | 7 | 27:27 | 27 |
| ასკოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 25:19 | 26 |
| ტრიესტინა | 20 | 6 | 6 | 8 | 25:34 | 24 |
| პიაჩენცა | 20 | 7 | 2 | 11 | 16:24 | 23 |
| გროსეტო | 20 | 5 | 7 | 8 | 16:26 | 22 |
| აველინო | 20 | 5 | 5 | 10 | 22:28 | 20 |
| ბარი | 20 | 4 | 8 | 8 | 21:31 | 20 |
| სპეცია | 20 | 4 | 6 | 10 | 23:29 | 18 |
| ტრევიზო | 20 | 5 | 3 | 12 | 21:31 | 18 |
| ვიჩენცა | 20 | 3 | 7 | 10 | 18:32 | 16 |
| ჩეზენა | 20 | 2 | 9 | 9 | 21:31 | 15 |
| რავენა | 20 | 3 | 4 | 13 | 21:36 | 13 |

### სერია C1/A
**XX ტური**

პრო სესტო — ვერონა 1:1; ჩიტადელა — ვენეცია 3:1; კრემონეზე — პავეზე 2:1; ლეკო — ფოჯა 2:1; ლენიანო — პადოვა 1:0; მანფრედონია — პაგანეზე 1:0; მონცა — ტერნანა 4:2; ნოვარა — ფოლინო 1:2; სასუოლო — პრო პატრია 0:0

### სერია C1/B
**XX ტური**

არეცო — სალერნიტანა 0:0; კროტონე — პერუჯა 1:1; იუვე სტაბია — მარტინა 3:1; ლანჩანო — სამბენედეტეზე 1:0; პესკარა — სანჯოვანეზე 3:0; სორენტო — გალიპოლი 1:1; ტარანტო — პისტოიეზე 0:0; მასეზე — პოტენცა 2:2. ლუკეზე — აჩერონა დღეს გაიმართება

# ეტოომ აფრიკამდე სტატუს-კვო დატოვა

## ესპანეთი
## პრიმერადივიზიონი XIX ტური

### ლევანტე 0:2 რეალი

0:1, 0:2 ვან ნისტელროი (75პ, 87)
ლევანტე: კუიოვიჩი, ალვარო, რუბიალესი, ხოსე სერანო, დესკარგა, რიგა, ბერსონი, პ. ლეონი (იბორა 68), ტომაზი, კურტუა (ეტიენი 86), ხუანმა (საული 71)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
რეალი: კასილიასი, მ. ტორესი, პეპე, ფ. კანავარო, მარსელო, გაგო, ჟ. ბაპტისტა (გუტი 55), სნეიდერი (იგუაინი 71), რობინიო (დრენტე 83), რაული, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ტომაზი
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
15 000 მაყურებელი

### ბარსელონა 4:0 მურსია

1:0 გუდიონსენი (27), 2:0 კრკიჩი (52), 3:0, 4:0 ეტოო (76, 87)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მარკესი, სილვინიო, ტურამი, ხავი, გუდიონსენი (ინიესტა 65), კრკიჩი (დოს სანტოსი 82), ეტოო (პედრიტო 88), ანრი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
მურსია: ნოტარიო, ოჩოა (არზო 69), დე კოსი, მეხია, პენია, დე ლუკასი, აბელი (რიჩი 79), პაბლო გარსია (ინიგო 67), მოვილია, გოიტომი, ფ. ბაიანო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: ანრი, ძამბროტა, ეტოო
მსაჯი: კლოს გომესი
85 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 1:0 ვალენსია

1:0 აგერო (28)
ატლეტიკო: აბიატი, პერეა, პაბლო, ელერი, ანტონიო ლოპესი, რაულ გარსია, სანტანა, სიმაო, მაქსი როდრიგესი (ლუის გარსია 90), ფორლანი (რეიესი 71), აგერო (ვალერა 90)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ვალენსია: ჰილდებრანდი, ალბიოლი, ელგერა, მორეტი, მარჩენა, ხოაკინი, ბარახა (ვისენტე 78), მატა (ბანეგა 46), დ. სილვა, მონტორო (ჟიგიჩი 46), არისმენდი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: ალბიოლი, სანტანა, მარჩენა, სიმაო, ელერი, ანტონიო ლოპესი
მსაჯი: ალვარეს ისკიერდო
55 000 მაყურებელი

### ალმერია 1:0 ესპანიოლი

1:0 კალუ უჩე (88)
ალმერია: დიეგო ალვეში, ბრუნო, კარლოს გარსია, აკასიეტე, მანე, ხუანიტო, ფელიპე მელო, კრუსატი, სორიანო (კალუ უჩე 73), ხ. ორტისი (მ. ორტისი 80), ნეგრედო (კისმა 89)
მწვრთნელი: უნაი ემერი
ესპანიოლი: ლაფუენტე, საბალეტა, ტორეხონი, ლაკრუსი, დავიდ გარსია (კ. როდრიგესი 68), მოიზესი, რიერა, ანხელი (ლოლა 64), ლუის გარსია, ტამუდო, კორო (ვალდო 81)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: ხ. ორტისი, დავიდ გარსია, კარლოს გარსია, ლაკრუსი, მოიზესი, მანე, ანხელი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
10 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 4:3 დეპორტივო

0:1 სერხიო (27პ), 1:1 როსი (30), 1:2 პაბლო ამო (58), 2:2, 3:2 ნიჰათი (65, 68), 4:2 ტომასონი (80პ), 4:3 გუარდადო (89)
ვილიარეალი: ვიერა, ხოსემი, კაპდევილა, სიგანი, ფუენტესი, პირესი (ტომასონი 63), კაზორლა, სენა, ბრუნო (ჩანი 56), ნიჰათი, ჯ. როსი (ხოსიკო 73)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
დეპორტივო: ფაბრი, ფილიპე, კოლოჩინი, პაბლო ამო, ლაურე, დე გუზმანი (ვერდიუ 66), სერხიო, გუარდადო, ხუან როდრიგესი, რიკი (ბოდიპო 68), ადრიანი (ხისკო 61)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ადრიანი, ნიჰათი, კაზორლა
გაძევება: პაბლო ამო (79)
მსაჯი: პარადას რომერო
18 000 მაყურებელი

### ბილბაო 2:0 სევილია

1:0 იესტე (28), 2:0 სუსაეტა (68)
ბილბაო: ირაისოსი (არანსუბია 42), ამორებიეტა, კოიკილი, აიტორ ოსიო, იესტე, ირაოლა, ორბაისი (მუნიოსი 59), ხავი მარტინესი, დავიდ ლოპესი, სუსაეტა, ადურიცი (ფ. ლორენტე 84)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
სევილია: დე სანქტისი, დანი ალვეში, ესკუდე, კრესპო (ადრიანუ 46), ფაციო, ხესუს ნავასი, პოულსენი, რენატო, კაპელი (დუდა 62), მარესკა, ჩევანტონი (ხუანხო 56)
მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი
გაფრთხილება: ჩევანტონი, მუნიოსი
გაძევება: ესკუდე (52)
მსაჯი: ონტანაია ლოპესი
42 000 მაყურებელი

### სარაგოსა 2:2 მალიორკა

0:1 ვარელა (16), 1:1, 2:1 მილიტო (23, 36), 2:2 გიზა (61)
სარაგოსა: სესარი, დიოგო, აიალა, პავონი, ხუანფრანი (პარედესი 77), ლუქსენი (ოსკარი 46), სელადესი, საპატერი, სერხიო გარსია (დალესანდრო 66), რ. ოლივეირა, დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
მალიორკა: ლუქსი, ფ. ნავარო, ვარელა (გიზა 46; ვალერო 87), ნუნიესი, დ. ნავარო, ექტორი, პერეირა, იბაგასა, არანგო, ხონასი, ტრეხო (ვიქტორი 74)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: პავონი, ვარელა, დ. ნავარო, ოსკარი, იბაგასა, ოლივეირა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
40 000 მაყურებელი

### ოსასუნა 0:2 რასინგი

0:1 კოლსა (81), 0:2 პაბლო ალვარესი (82)
ოსასუნა: რიკარდო, მონრეალი, მ. ფლანიო, კრუჩაგა, მარგარიაცი (ველა 56), პლასილი, ექტორ ფონტი (უგო ვიანა 65), პუნიალი, ხუანფრანი (პანდიანი 78), ასპილისუეტა, დადი
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
რასინგი: ტ. მარტინესი (კოლტორტი 43), გარაი, ს. სანჩესი, აიოზე, სეზარ ნავასი, ხორხე ლოპესი, კოლსა, ხორდი, ტშიტე, სერანო (დუშერი 75), ივან ბოლადო (პაბლო ალვარესი 63)
მწვრთნელი: მარსელინო გარსია ტორალი
გაფრთხილება: ხორხე ლოპესი, ს. სანჩესი, პაბლო ალვარესი, აიოზე
მსაჯი: დელგადო ფერეირო
25 000 მაყურებელი

### ბეტისი 3:2 ხეტაფე

1:0 პავონე (4), 2:0 ედუ (34), 3:0 ბელენგერი (60სკ), 3:1 დე ლა რედი (62), 3:2 დელ მორალი (78)
ბეტისი: რიკარდუ, ილიჩი, ხუანიტო, მელი, დამია, რივერა, არზუ (ლიმა 84), ხუანდე (სომოსა 57), ედუ, პავონე, ხისკო (მარკ გონსალესი 57)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩაპარო
ხეტაფე: აბონდანსიერი, ბელენგერი, მარიო, ლიხტი, კორტესი (კონტრა 84), დე ლა რედი, გრანერო, ალბინი, სელესტინი (ბრაულიო 63), გავილანი (კასკერო 70), დელ მორალი
მწვრთნელი: მიქაელ ლაუდრუპი
გაფრთხილება: გრანერო, დე ლა რედი, ხისკო, ბრაულიო
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
35 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 3:1 უელვა

1:0, 2:0 ლორენტე (7, 22), 2:1 კამუნიასი (42), 3:1 ლორენტე (85)
ვალიადოლიდი: სერხიო ასენხო, მარკოსი, გარსია კალვო, რაფა (ალექსისი 43), პედრო ლოპესი, სისი, კაპდევილა (ოსკარ სანჩესი 57), ალვარო რუბიო, ვიქტორ დორადო, ლორენტე, ვიქტორი (ბორხა 79)
მწვრთნელი: ხოსე ლუის მენდილიბარი
უელვა: სორენტინო, დანი ბაუტისტა, მ. კასერესი, იაგო ბუზონი, პამპა, ხესუს ვასკესი, კ. მარტინში (ხერარდი 46), ტორნავაკა (რაფა ბარბერი 46), ა. კამუნიასი, სინამა-პონიოლი, ხ. გერერო (მარკიტოში 79)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: იაგო ბუზონი
მსაჯი: აიზა გამესი
18 000 მაყურებელი


ვან ნისტელროის მე-10 და მე-11

მართალია, „ბარსელონას“ ტრავმირებული ლიდერები, რონალდინიო და ლეო მესი აკლდა, მაგრამ ფრანკ რაიკარდის ბიჭებმა მურსიელი სტუმრებისგან ქვა ქვაზე მაინც არ დატოვეს. ეიდურ გუდიონსენმა ანგარიში 26-ე წუთზე გახსნა, ხოლო მეორე ტაიმის დებიუტში თინეიჯერმა ბოიან კრკიჩმა მეორე გოლი შეაგდო. სამუელ ეტოო კი რის სამუელ ეტოო იქნებოდა, მოედანი უგოლოდ დაეტოვებინა — კამერუნელმა სუპერფორვარდმა თამაშის დასკვნით 14 წუთში დუბლი მიითვალა. ასე დაემშვიდობა ეტოო თავის კლუბს აფრიკის ერთვნებათა თასზე გამგზავრებამდე...

მთლიანობაში კატალონიურმა გრანდმა ერთობ შთამბეჭდავად იასპარეზა და პირველი ტაიმის საწყის ნახევარს თუ არ ჩავთვლით, მეტოქე ყოველმხრივ დაჩაგრა.

ეს მატჩი შაბათს გაიმართა და „ბარსამაც“ „რეალისგან“ ჩამორჩენა 4 ქულამდე დაიყვანა, თუმცა ვინ შეარგო — მოვლენების განვითარებას გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ მეორე დღეს „რეალმა“ ვალენსიაში მოსაგები თამაში გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგო...

შაბათს კიდევ ის მოხდა, რომ „ბილბაომ“ მშობლიურ „სან მამესზე“ უეფას თასის მოქმედ მეპატრონესა და დღეს კი იგივე ევროთასის საგზურისთვის მებრძოლ „სევილიას“ აყარა შავი დღე. ანდალუზიელთა იტალიელ კიპერ მორგან დე სანქტისს პირველ ტაიმში გოლი ფრანსისკო იესტემ შეუგდო, ხოლო როცა მეორე ნახევრის დებიუტში სტუმრები ჟულიენ ესკუდეს გაძევების გამო რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, თავი ბასკთა შუახაზელმა სუსაეტამაც ისახელა — 2:0.

გუშინ კი საქმე მოულოდნელობათა გარეშე დასრულდა. მართალია, „ალმერიას“ მიერ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი „ესპანიოლის“ ძლევა ოდნავ საკვირველი გახლდათ, მაგრამ სათქმელი ისიცაა, რომ კატალონიის დედაქალაქის მეორე გუნდი სტაბილურობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, ამ მარცხმა ერნესტო ვალვერდეს რაზმი მეოთხე საფეხურზე დააქვეითა, ხოლო საპრიზო სამეულში დედაქალაქურმა „ატლეტიკომ“ ანაცვლა.

ხავიერ აგირეს გუნდმა მეტად საპასუხისმგებლო გამოცდა ფრიადზე ჩააბარა — „ათლეტებმა“ უდაძაბულეს მატჩში გამწარებული „ვალენსია“ დაამარცხეს. „ღამურათა“ პრობლემებზე საუბარი შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ რონალდ კუმანის გუნდმა გუშინდელი ხელმოცარულობის ჩათვლით ასეთი ეტაპობრივი შედეგი დააფიქსირა — ორი ქულა ბოლო შვიდ მატჩში. ძნელი სავარაუდოა, თუ რა ელის ვალენსიური გრანდყოფილის ჰოლანდიელ დამრიგებელს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ასეთი უკუსვლის ატანა ნებისმიერი კლუბის მეპატრონისთვის იქნებოდა ღირსების უკიდურესი შელახვა.

ასევე უკიდურესად დაძაბული ვითარება ესპანეთის ელიტური ლიგის ერთადერთი გალისიური წარმომადგენლის რიგებშიცაა. „დეპორტივოს“ თავკაცობამ ძირითად შემადგენლობას ორი მთავარი მეკარე მოკვეთა — დუდუ აუატე და მუნუა. ამ უკანასკნელთა ჩხუბი გუნდს ძვირად დაუჯდა — მათი შემცვლელი ფაბრი ბევრს კი ეცადა, მაგრამ საკუთარ კარში ოთხი გოლი კი მიიღო. დანარჩენმა ლაკორუნიელებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს, მაგრამ მეორე ტაიმის მოკლე მონაკვეთში თურქი ნიჰათის დუბლმა მიგელ ანხელ ლოტინას გუნდი გატეხა, ამის მერე „დეპორს“ დანიელმა იონ დალ ტომასონმაც გაუტანა და მექსიკელი გუარდადოს საპასუხო და დაგვიანებულ გოლს ძალა აღარ ჰქონდა...

ახლა კი „რეალზეც“ ვთქვათ, თუმცა მთლიან „სამეფო გუნდზე“ მეტად ხსენებას მისი ჰოლანდიელი მეგოლე იმსახურებს. წყალწაღებული „ლევანტესგან“ მედგარ წინააღმდეგობას ვინღა ელის, მაგრამ შოთა არველაძის თანაგუნდელებმა რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს — ბრძოლაში მთელი ჯიგარი ჩადეს, რომელიც, მათდასამწუხაროდ, მხოლოდ 75 წუთს ეყოთ, ამ 75-ეზე კი რუუდ ვან ნისტელროიმ ერთ-ერთი ვალენსიელის მიერ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა, ხოლო თამაშის მიწურულს „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ შორეული დარტყმით იხეირა. ანუ სტატუს-კვო აღდგა — „რეალმა“ უახლოეს მდევარ „ბარსასთან“ 7-ქულიანი ჰანდიკაპი აღიდგინა.

**სლავა გასპაროვი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 19 | 15 | 2 | 2 | 41:14 | 47 |
| ბარსელონა | 19 | 12 | 4 | 3 | 38:13 | 40 |
| ატლეტიკო | 19 | 11 | 4 | 4 | 35:19 | 37 |
| ესპანიოლი | 19 | 10 | 6 | 3 | 29:20 | 36 |
| ვილიარეალი | 19 | 11 | 2 | 6 | 34:30 | 35 |
| რასინგი | 19 | 9 | 5 | 5 | 20:19 | 32 |
| ვალენსია | 19 | 8 | 3 | 8 | 22:29 | 27 |
| სევილია | 19 | 8 | 2 | 9 | 35:25 | 26 |
| ვალიადოლიდი | 19 | 6 | 6 | 7 | 27:28 | 24 |
| ალმერია | 19 | 6 | 5 | 8 | 16:21 | 23 |
| ბილბაო | 19 | 5 | 7 | 7 | 18:19 | 22 |
| სარაგოსა | 19 | 5 | 7 | 7 | 29:32 | 22 |
| მალიორკა | 19 | 5 | 7 | 7 | 28:31 | 22 |
| მურსია | 19 | 5 | 7 | 7 | 16:24 | 22 |
| ხეტაფე | 19 | 6 | 3 | 10 | 21:27 | 21 |
| ბეტისი | 19 | 5 | 6 | 8 | 20:28 | 21 |
| უელვა | 19 | 5 | 6 | 8 | 15:24 | 21 |
| ოსასუნა | 19 | 5 | 5 | 9 | 20:25 | 20 |
| დეპორტივო | 19 | 4 | 5 | 10 | 19:31 | 17 |
| ლევანტე | 19 | 2 | 2 | 15 | 11:35 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლ. ფაბიანო (სევილია) | 12 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 11 |
| ვან ნისტელროი (რეალი) | 11 |
| ნიჰათი (ვილიარეალი) | 10 |
| ტამუდო (ესპანიოლი) | 10 |
| გიზა (მალიორკა) | 9 |
| აგერო (ატლეტიკო) | 9 |
| ლორენტე (ვალიადოლიდი) | 9 |
| კანუტე (სევილია) | 8 |
| მესი (ბარსელონა) | 8 |
| რაული (რეალი) | 8 |
| ჯ. როსი (ვილიარეალი) | 8 |

### XX ტური
20 იანვარი

ოსასუნა : ბილბაო
ბარსელონა : რასინგი
სარაგოსა : მურსია
ლევანტე : მალიორკა
ატლეტიკო : რეალი
ვილიარეალი : ვალენსია
ალმერია : დეპორტივო
ვალიადოლიდი : ესპანიოლი
ბეტისი : უელვა
ხეტაფე : სევილია

### სეგუნდადივიზიონი
### XX ტური

სელტა — სალამანკა 0:0; მალაგა — გრანადა 1:1; სოსიედადი — ალავესი 1:0; ხერესი — ლას პალმასი 0:3; ერკულესი — ელჩე 0:1; სევილია B — კადისი 1:2; ალბასეტე — პოლი ეხიდო 2:0; ხიმნასტიკი — ტენერიფე 1:1; ნუმანსია — ეიბარი 1:1; ფეროლი — კორდობა 0:1; სპორტინგი — კასტელიონი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 20 | 12 | 4 | 4 | 32:18 | 40 |
| ნუმანსია | 20 | 11 | 6 | 3 | 29:16 | 39 |
| სპორტინგი | 20 | 9 | 5 | 6 | 29:21 | 32 |
| ელჩე | 20 | 9 | 5 | 6 | 24:19 | 32 |
| სოსიედადი | 20 | 8 | 7 | 5 | 21:18 | 31 |
| სევილია B | 20 | 8 | 7 | 5 | 21:20 | 31 |
| სელტა | 20 | 7 | 8 | 5 | 26:22 | 29 |
| ტენერიფე | 20 | 7 | 8 | 5 | 26:25 | 29 |
| გრანადა | 20 | 8 | 5 | 7 | 24:24 | 29 |
| ეიბარი | 20 | 8 | 5 | 7 | 22:22 | 29 |
| კადისი | 20 | 8 | 4 | 8 | 19:19 | 28 |
| სალამანკა | 20 | 7 | 6 | 7 | 27:24 | 27 |
| ერკულესი | 20 | 6 | 8 | 6 | 26:22 | 26 |
| კორდობა | 20 | 5 | 11 | 4 | 24:25 | 26 |
| კასტელიონი | 20 | 6 | 7 | 7 | 19:17 | 25 |
| ალავესი | 20 | 6 | 6 | 8 | 21:23 | 24 |
| ხიმნასტიკი | 20 | 5 | 6 | 9 | 20:24 | 21 |
| ალბასეტე | 20 | 5 | 5 | 10 | 14:21 | 20 |
| ლას პალმასი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:29 | 20 |
| პოლი ეხიდო | 20 | 5 | 5 | 10 | 17:30 | 20 |
| ფეროლი | 20 | 4 | 5 | 11 | 19:30 | 17 |
| ხერესი | 20 | 2 | 10 | 8 | 18:29 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XX ტური

**ვალანსიენი 2:0 სენტ ეტიენი**
1:0 დიუმონი (8), 2:0 პუჟოლი (88)

**ბორდო 4:1 ოსერი**
0:1 ნიკულაე (2), 1:1 კავენაგი (13), 2:1 პლანუსი (39), 3:1 კავენაგი (51), 4:1 ბელიონი (90)

**კაენი 0:0 ნანსი**

**ლე მანი 0:2 სოშო**
0:1 ერდინგი (44), 0:2 იზაბეი (53)

**ლილი 1:1 მეცი**
0:1 გიგაქსი (23), 1:1 კაბაიე (90)

**ლიონი 3:2 ტულუზი**
0:1 რევეილიერი (8ს.კ.), 1:1 ბენ არფა (16), 2:1 ჟუნინიო (55), 3:1 ბენზემა (65), 3:2 ფაბინიო (90)

**მონაკო 1:0 ლორიანი**
1:0 სამბუ (90)

**სტრასბური 0:1 ნიცა**
0:1 ედერსონი (52)

**პსჟ 3:0 ლანსი**
1:0 პაულეტა (57), 2:0, 3:0 დიანე (64, 66)

**რენი 3:1 მარსელი**
0:1 ჟ. სისე (16), 1:1 პაგისი (39), 2:1, 3:1 ვილტორდი (82, 88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 20 | 13 | 3 | 4 | 41:18 | 42 |
| ნანსი | 20 | 9 | 9 | 2 | 25:11 | 36 |
| ბორდო | 20 | 10 | 6 | 4 | 31:24 | 36 |
| ვალანსიენი | 20 | 9 | 5 | 6 | 25:17 | 32 |
| ნიცა | 20 | 8 | 8 | 4 | 20:14 | 32 |
| კაენი | 20 | 9 | 5 | 6 | 23:19 | 32 |
| ლე მანი | 20 | 9 | 3 | 8 | 26:28 | 30 |
| მონაკო | 20 | 8 | 4 | 8 | 23:19 | 28 |
| რენი | 20 | 8 | 4 | 8 | 21:24 | 28 |
| ლორიანი | 20 | 6 | 9 | 5 | 20:20 | 27 |
| პსჟ | 20 | 6 | 7 | 7 | 19:20 | 25 |
| მარსელი | 20 | 6 | 7 | 7 | 21:23 | 25 |
| სენტ ეტიენი | 20 | 7 | 4 | 9 | 20:22 | 25 |
| ტულუზი | 20 | 6 | 7 | 7 | 21:24 | 25 |
| სტრასბური | 20 | 6 | 6 | 8 | 18:21 | 24 |
| ოსერი | 20 | 7 | 2 | 11 | 18:30 | 23 |
| ლილი | 19 | 4 | 10 | 5 | 19:19 | 22 |
| ლანსი | 19 | 5 | 5 | 9 | 16:24 | 20 |
| სოშო | 20 | 4 | 7 | 9 | 17:25 | 19 |
| მეცი | 20 | 1 | 5 | 14 | 10:32 | 8 |

### II დივიზიონი. XX ტური

ბასტია — კლერმონი 0:0; ბულონი — აიაჩო 0:0; დიჟონი — მონპელიე 0:2; გრენობლი — ანჟერი 0:0; გენიონი — სედანი 2:3; ლიბურნი — რეიმსი 1:1; ნიორი — გენგამი 1:3; ტრუა — ამიენი 1:0; ნანტი — შატორუ 2:1. ბრესტი — ლე ავრი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 20 | 12 | 6 | 2 | 32:15 | 42 |
| ლე ავრი | 18 | 10 | 6 | 2 | 33:17 | 36 |
| ტრუა | 19 | 8 | 8 | 3 | 26:18 | 32 |
| კლერმონი | 19 | 7 | 10 | 2 | 29:19 | 31 |
| ანჟერი | 20 | 8 | 7 | 5 | 20:17 | 31 |
| ბასტია | 19 | 8 | 6 | 5 | 26:19 | 30 |
| გრენობლი | 20 | 8 | 6 | 6 | 23:18 | 30 |
| აიაჩო | 20 | 8 | 6 | 6 | 22:21 | 30 |
| მონპელიე | 20 | 7 | 8 | 5 | 21:16 | 29 |
| ბულონი | 20 | 7 | 6 | 7 | 25:26 | 27 |
| სედანი | 19 | 6 | 8 | 5 | 24:23 | 26 |
| ბრესტი | 19 | 7 | 5 | 7 | 18:21 | 26 |
| გენგამი | 20 | 5 | 7 | 8 | 18:20 | 22 |
| ნიორი | 20 | 6 | 4 | 10 | 20:24 | 22 |
| შატორუ | 20 | 5 | 7 | 8 | 20:24 | 22 |
| რეიმსი | 19 | 6 | 4 | 9 | 20:30 | 22 |
| დიჟონი | 20 | 4 | 8 | 8 | 13:27 | 20 |
| ამიენი | 19 | 3 | 6 | 10 | 16:27 | 15 |
| ლიბურნი | 19 | 3 | 5 | 11 | 23:36 | 14 |
| გენიონი | 20 | 2 | 7 | 11 | 20:31 | 13 |

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XIX ტური

**ნაიმეგენი 2:2 ტვენტე**
0:1 ნკუფო (16), 1:1 აკჩაუი (36პ), 2:1 ვან ბიუკერინგი (68), 2:2 ენგელაარი (90)

**გრონინგენი 3:2 ექსელსიორი**
1:0 ლოვრე (57), 1:1 დენ ოუდენი (58), 2:1 ბერგი (63), 2:2 ველასკო (73), 3:2 ლოვრე (90)

**ბრედა 0:0 ვენლო**

**როდა 1:1 ტილბურგი**
0:1 პოეპონი (36), 1:1 მეეუვისი (83პ)

**ფეიენოორდი 0:1 პსვ**
0:1 ბაკალი (40)

**გრააფსხაპი 0:3 ვიტესი**
0:1 კოლკი (41), 0:2 ტაკაკი (56), 0:3 კოლკი (79)

**აიაქსი 6:1 ალკმაარი**
0:1 არი (4), 1:1 ვერტონგენი (23), 2:1 კ. პერესი (44პ), 3:1 ჰუნტელაარი (61), 4:1 ბაკირჩოღლუ (67), 5:1 ლეონარდო (87), 6:1 ჰუნტელაარი (89)

**უტრეხტი 2:2 ჰერენვენი**
0:1 პრანჯიჩი (1), 0:2 ბრედლი (27), 1:2 შუტი (50), 2:2 კელერი (68)

**ჰერაკლესი 2:0 სპარტა**
1:0 კუანსა (12), 2:0 ვან დენ ბერგი (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 18 | 12 | 3 | 3 | 40:14 | 39 |
| აიაქსი | 18 | 10 | 6 | 2 | 52:26 | 36 |
| ფეიენოორდი | 18 | 11 | 3 | 4 | 34:14 | 36 |
| გრონინგენი | 19 | 11 | 3 | 5 | 31:30 | 36 |
| ტვენტე | 19 | 8 | 9 | 2 | 30:16 | 33 |
| როდა | 19 | 9 | 6 | 4 | 36:28 | 33 |
| ჰერენვენი | 19 | 9 | 4 | 6 | 44:27 | 31 |
| უტრეხტი | 19 | 8 | 5 | 6 | 41:33 | 29 |
| ვიტესი | 19 | 8 | 4 | 7 | 26:24 | 28 |
| ბრედა | 18 | 7 | 5 | 6 | 22:25 | 26 |
| ალკმაარი | 17 | 7 | 4 | 6 | 30:24 | 25 |
| გრააფსხაპი | 18 | 6 | 4 | 8 | 21:29 | 22 |
| ვენლო | 19 | 4 | 6 | 9 | 23:38 | 18 |
| ჰერაკლესი | 19 | 4 | 4 | 11 | 15:41 | 16 |
| ნაიმეგენი | 19 | 3 | 5 | 11 | 17:33 | 14 |
| ტილბურგი | 19 | 3 | 4 | 12 | 19:28 | 13 |
| სპარტა | 18 | 2 | 6 | 10 | 22:44 | 12 |
| ექსელსიორი | 19 | 3 | 3 | 13 | 22:51 | 12 |

### II დივიზიონი. XXIII ტური

კამბური — ალმერე 1:0; ემენი — ტელსტარი 1:1; დორდრეხტი — ვენდამი 2:2; ვოლენდამი — ეინდჰოვენი 6:2; ზვოლე — როზენდალი 1:1; სიტარდი — დენ ბოსხი 0:1; ჰაარლემი — აპელდორნი 2:1; ჰელმონდი — დენ ჰააგი 2:0; ვალვაიკი — იგლსი 7:2; ოსი — მაასტრიხტი 4:1

## თურქეთი

### სუპერლიგა. XVIII ტური

ოფთა — გენჩლერი 1:1; კაშიმპასა — გაზიანთეფი 0:1; ქონია — ბეშიქთაში 1:2; რიზე — გალათასარაი 2:5; ანკარაგიუჯიუ — ანკარა 1:1; ბურსა — დენიზლი 1:1; მანისა — ქაისერი 0:1; სივა — ტრაბზონი 2:0; ფენერბაჩე — ბუიუქშეჰირი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სივა | 18 | 13 | 1 | 4 | 29:13 | 40 |
| გალათასარაი | 18 | 11 | 6 | 1 | 34:14 | 39 |
| ფენერბაჩე | 18 | 11 | 5 | 2 | 32:19 | 38 |
| ბეშიქთაში | 18 | 11 | 4 | 3 | 24:15 | 37 |
| ქაისერი | 18 | 7 | 8 | 3 | 25:17 | 29 |
| დენიზლი | 18 | 7 | 4 | 7 | 23:22 | 25 |
| ქონია | 18 | 7 | 4 | 7 | 23:29 | 25 |
| გაზიანთეფი | 18 | 7 | 3 | 8 | 23:24 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 18 | 6 | 6 | 6 | 20:22 | 24 |
| ტრაბზონი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:23 | 22 |
| ბუიუქშეჰირი | 18 | 5 | 6 | 7 | 22:22 | 21 |
| ოფთა | 18 | 5 | 6 | 7 | 17:17 | 21 |
| რიზე | 18 | 6 | 3 | 9 | 20:32 | 21 |
| ბურსა | 18 | 4 | 8 | 6 | 17:20 | 20 |
| მანისა | 18 | 4 | 5 | 9 | 23:30 | 17 |
| გენჩლერი | 18 | 3 | 6 | 9 | 20:28 | 15 |
| ანკარა | 18 | 2 | 8 | 8 | 15:22 | 14 |
| კაშიმპასა | 18 | 2 | 3 | 13 | 13:33 | 9 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XVI ტური

**ფერეირა 3:1 მარიტიმუ**
1:0 ედსონი (8), 1:1 მოსორო (27), 2:1, 3:1 უესლი (33, 44)

**ბენფიკა 0:0 ლეიშოეში**

**პორტუ 4:0 ბრაგა**
1:0 ლ. ლოპესი (4), 2:0 მეირელეში (17), 3:0 ლ. ლოპესი (82), 4:0 ფარიასი (90)

**ამადორა 0:1 ნასიონალი**
0:1 ალონსო (52)

**ბოავიშტა 3:1 ლეირია**
0:1 ჟოაუ პაულუ (13), 1:1 მარსელაუ (57), 2:1 ჟ. რიბეირუ (75), 3:1 ფარი (83)

**აკადემიკა 1:1 სპორტინგი**
0:1 ტონელი (81), 1:1 პავლოვიჩი (90)

**ბელენენსეში 2:1 ნავალი**
1:0 რონსატო (11), 1:1 მარსელინიუ (45), 2:1 მაზე (76პ)

**სეტუბალი — გიმარაეში**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 16 | 13 | 2 | 1 | 28:5 | 41 |
| ბენფიკა | 16 | 8 | 6 | 2 | 26:9 | 30 |
| სპორტინგი | 16 | 7 | 6 | 3 | 23:15 | 27 |
| გიმარაეში | 15 | 7 | 4 | 4 | 18:18 | 25 |
| სეტუბალი | 15 | 5 | 9 | 1 | 22:15 | 24 |
| მარიტიმუ | 16 | 7 | 2 | 7 | 20:16 | 23 |
| ბრაგა | 16 | 6 | 5 | 5 | 18:19 | 23 |
| ბელენენსეში | 16 | 5 | 7 | 4 | 15:15 | 22 |
| ნასიონალი | 16 | 5 | 5 | 6 | 12:13 | 20 |
| ბოავიშტა | 16 | 4 | 7 | 5 | 17:23 | 19 |
| ამადორა | 16 | 3 | 7 | 6 | 17:19 | 16 |
| ლეიშოეში | 16 | 2 | 10 | 4 | 15:18 | 16 |
| აკადემიკა | 16 | 3 | 7 | 6 | 16:24 | 16 |
| ფერეირა | 16 | 4 | 3 | 9 | 15:23 | 15 |
| ნავალი | 16 | 4 | 3 | 9 | 11:25 | 15 |
| ლეირია | 16 | 0 | 5 | 11 | 10:26 | 5 |

### II დივიზიონი. XVI ტური

ბეირა მარი — ვიზელა 0:3; ფეირენსე — სანტა კლარა 0:1; ეშტორილი — ჟილ ვისენტე 2:0; პენაფიელი — ფრეამუნდე 2:2; ტროფენსე — ფატიმა 1:0; ოლიალენსე — ავეში 2:1; რიუ ავე — გონდომარი 2:2; ვარზიმი — პორტიმონენსე 0:0

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XVI ტური

პანიონიოსი — არისი 0:3; აეკ — ვერია 5:1; კალამარია — ოფი 1:1; ლარისა — ასტერასი 1:1; ლევადიაკოსი — ატრომიტოსი 2:1; პაოკ — ქსანთი 0:1; ერგოტელისი — ირაკლისი 1:0; ოლიმპიაკოსი — პანათინაიკოსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 16 | 12 | 0 | 4 | 35:9 | 36 |
| ოლიმპიაკოსი | 16 | 10 | 5 | 1 | 31:13 | 35 |
| პანათინაიკოსი | 16 | 10 | 4 | 2 | 24:7 | 34 |
| ასტერასი | 16 | 8 | 5 | 3 | 17:8 | 29 |
| არისი | 16 | 8 | 4 | 4 | 16:8 | 28 |
| პაოკ | 16 | 7 | 2 | 7 | 19:17 | 23 |
| პანიონიოსი | 16 | 6 | 4 | 6 | 19:23 | 22 |
| ქსანთი | 16 | 6 | 3 | 7 | 17:16 | 21 |
| ატრომიტოსი | 16 | 6 | 3 | 7 | 13:16 | 21 |
| ლარისა | 16 | 2 | 10 | 4 | 12:16 | 16 |
| ირაკლისი | 16 | 3 | 6 | 7 | 12:18 | 15 |
| ოფი | 16 | 4 | 3 | 9 | 20:30 | 15 |
| ლევადიაკოსი | 16 | 4 | 3 | 9 | 13:29 | 15 |
| ვერია | 16 | 3 | 5 | 8 | 12:22 | 14 |
| კალამარია | 16 | 3 | 5 | 8 | 15:29 | 14 |
| ერგოტელისი | 16 | 2 | 6 | 8 | 10:24 | 12 |

## ბელგია

### თასის 1/8 ფინალი

ანდერლეხტი — ვაასლანდი 2:0; ბეერსხოტი — ოუდ ჰევერლე 2:2(პენ.3:1); მონსი — გენტი 0:1დდ.(0:0); კორტრაიკი — ზულტე ვარეგემი 2:1დდ.(1:1); დენდერი — აალსტი 2:1; რუზელარე — შარლერუა 2:2(პენ.5:4) სტანდარდი — გენკი და სერკლი — ბრიუგე დღეს გაიმართება

### მეორე კლასი
### გადადებული მატჩები

ლომელი — ტინენი 1:1; ვირტონი — გეელი 3:0; ოლიმპიკი — ეუპენი 1:1; სენტ ჟილი — ოსტენდე 2:0

# დუდუმ იბანავა და დაარტყეს



**„დეპორტივოს“** მეკარეებმა დუდუ აუატემ და გუსტავო მუნუამ გასახდელში იჩხუბეს. ამის გამო კლუბმა ორივე დასაჯა — სეზონის ბოლომდე ვერც ერთი ვერ ეღირსება კარში ჩადგომას.

პარასკევს, ვარჯიშის შემდეგ მეკარეებმა ხელთათმანები გაიძვრეს და მოკრივეებივით დაეტაკნენ ერთმანეთს. კრივში უფრო ძლიერი მუნუა აღმოჩნდა და აუატე მარცხენა თვალის უპე გაუხეთქა. ისრაელის ნაკრების წევრს ქირურგი და გაკერვა დასჭირდა. „კლუბის შეფებისგან სრული მხარდაჭერა მაქვს და არეულობას ვერ დავუშვებ — თქვა მწვრთნელმა მიგელ ანხელ ლოტინამ — გასახდელში ერთიანობა უნდა იყოს და მსგავსი ინციდენტები აღარ განმეორდეს. გადავწყვიტე, რომ მუნუა და აუატე სეზონის ბოლომდე მოვკვეთო და ძირითადი შემადგენლობის მეკარე B გუნდიდან გამოძახებული ფაბრისიო გახდება.

„გაოცებული ვარ — განაცხადა თვალგაკერილმა — ვარჯიშის შემდეგ შხაპი მივიღე და გასახდელში შევედი. მუნუა მოვიდა, მკითხა, ვის უყურებო და ეგრევე თვალში მუშტი მატაკა. უმალ სისხლი წამსკდა და მთელი გუნდი პირდაღებული დარჩა. ჩვენ არ გვიჩხუბია, მან ახსნა-განმარტების გარეშე დამარტყა. თანაგუნდელისგან ასეთი საქციელი მიუღებელია“.

ხუთშაბათს პრესკონფერენციაზე აუატემ თქვა, რომ ძირითადი შემადგენლობიდან უსამართლოდ ამოაგდეს. 30 წლის მეკარე „დეპორის“ პირველი ნომერი იყო მას შემდეგ, რაც „რასინგიდან“ (2006-ში) გადავიდა. გასული დეკემბრის დასაწყისში „ოსასუნასთან“ შინ 1:2 მარცხის მერე აუატემ ძირითადში ადგილი დაკარგა და მწვრთნელმა მუნუათი შეცვალა. „თანაგუნდელებზე აუგი არსად და არასდროს მითქვამს — ბრძანა ისრაელის ნაკრების მეკარემ — მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ გუნდში, ზოგადად, პრობლემები და არასასიამოვნო ვითარებაა. მუნუას შესახებ ერთხელ მკითხეს, მაგრამ პასუხი არ გამიცია“.

ალბათ აუატეს სადღაც მაინც წამოსცდა მუნუაზე უკადრისი სიტყვა და ამიტომაც მიიღო თვალში მუშტი. დამრტყმელი კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. მომავალ კვირაში კლუბის შეფები მოჩხუბრებთან შეხვედრას და ჭკუის დარიგებას აპირებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი
### 1/16 ფინალი

სელტიკი — სტირლინგი 3:0; ფოლკირკი — აბერდინი 2:2; მორტონი — გრეტნა 2:2; ჰამილტონი — ბრეჩინი 0:0; ჰარტსი — მოზერუელი 2:2; ჰიბერნიანი — ინვერნესი 3:0; ქუინი — ლინლითგოუ 4:0; სენტ მირენი — დამბარტონი 3:0. რეინჯერსი — ისტ სტირლინგი, კლაიდი — დანდი იუნაიტედი, ერდრი — კილმარნოკი, პარტიკი — დანფერმლაინი, ჰანტლი — დანდი, სენტ ჯონსტონი — რეითი, ლივინგსტონი — კოუდენბითი და კოვი — როსი გადაიდო

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**ალოა 2:1 ბერვიკი**

### მესამე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**მონტროუზი 0:1 ისტ ფაიფი**

## ამხანაგური მატჩები

### 11 იანვარი

გვინეა — სუდანი 6:0; ალემანია — მაინცი 1:0; დუისბურგი — ოფენბახი 2:0; კობლენცი — ვეჰენი 0:2; არმინია — პადერბორნი 2:1; ჰანოვერი — რაპიდი (ვენა) 2:1; კოტბუსი — ლაბენი 2:1; აუგსბურგი — რიდი 1:1; ოსნაბრიუკი — ლიპშტადტი 1:0; ჰერტა — გრასჰოპერი 0:1

### 12 იანვარი

ქუვეითი — კოტ დივუარი 0:2; მაროკო — ზამბია 2:0; ვიკინგი — მადურეირა 2:2; თუნი — ვადუცი 0:1; ბაზელი — სოლოთურნი 6:0; აინტრახტი — ვოლფსბურგი 1:1; შალკე — ვერდერი 2:1; სტაბეკი — ბოტაფოგო 0:2

### 13 იანვარი

სირია — ყატარი 0:0; სენეგალი — ნამიბია 3:1; ანგოლა — ეგვიპტე 3:3; სამხრეთ აფრიკა — მოზამბიკი 2:0; სტარტი — ამერიკა 1:1; ოლდენბურგი — ზანქტ პაული 0:1; სიონი — სერვეტი 1:0; ჰანოვერი — გრასჰოპერი 1:2; ჰერტა — რაპიდი (ვენა) 2:2. ირანი — მალი გადაიდო, კოსტა რიკა — შვედეთი წუხელ გვიან დამთავრდა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge